2	B. Chankvetadze	Recent Development in Enantioseparation of Chiral Drugs with Polysaccharide-Based Chiral Columns in HPLC	2nd International Symposium on Advances in Pharmaceutical Analysis (APA 2018), July 11-12, 2018, Lille, France
3	B. Chankvetadze	Capillary Electrophoresis as a powerful microscale method for better understanding of enantioselective intermolecular interactions	34th International Symposium on Microscale Separations and Bioanalysis, February 18-21, 2018, Rio De Janeiro, Brasil
4	B. Chankvetadze	Recent developments in enantioseparation of chiral drugs using capillary electrophoresis	12th International Symposium on Pharmaceutical Sciences (ISOPS-12), June 26-29, 2018, Ankara, Turkey
5	B. Chankvetadze	Capillary electrophoresis as a powerful tool for understanding chiral recognition mechanisms by cyclodextrins	25th International Symposium on Electro- and Liquid Phase-Separation Techniques (ITP2018), August 29 – September 1, 2018, Kyoto, Japan
6	Mskhiladze A., Chanturia M., Karchkhadze M.	Topical issues of chemical of chemical and ecological education	Science, research, development. Pedagogy. №11. Rotterdam, The Netherlands 29.11.2018-30.11.2018 (გადაცემულია მოხსენებათა კრებულში დასაბეჭდად)
7	Iza Matarashvili, Darejan Ghughunishvili, Lali Chankvetadze, Nino Takaishvili, Tamar Khatiashvili, Maia Tsintsadze, Tivadar Farkas, Bezhan Chankvetadze	Separation of enantiomers of chiral weak acids with polysaccharide-based chiral columns and aqueous mobile phases in high-performance liquid chromatography: Typical reversed-phase behavior?	12th International Symposium on Pharmaceutical Sciences (ISOPS) Turkey, Ankara. 26.06.2018-29.06.2018
8	Kakava R., Konjaria M.L., Shashviashvili N., Volonterio A., Chankvetadze B.	Synthesis Of Chiral Sulfoxides And Hydantoins And Separation Of Their Enantiomers By HPLC Method	12th International Symposium on Pharmaceutical Sciences (ISOPS) Turkey, Ankara. 26.06.2018-29.06.2018
9	George Jibuti	SMART AtmoSim_Lab	იული, გერმანია, 2018 წლის 10 ივნისი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. გარემოს დაცვა ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თემაა მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. უნივერსიტეტებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში. აუცილებელია ეკოლოგიური განათლების სისტემა იყოს სავალდებულო, ერთიანი და უწყვეტი, უმაღლესი სკოლის ყველა საფეხურის საბაკალავრო – სამაგისტრო – სადოქტორო სისტემის ჩათვლით. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება გარემოს დაბინძურების ყველაზე მავნე ფორმაა, სტუდენტებს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ჰაერის ხარისხის კრიტერიუმების შესახებ, თანამედროვე კვლევები ამ მიმართულებით, საქართველოში მიმდინარე კვლევების შედეგები. დაბინძურებული ჰაერის გავლენა ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და ა.შ. მიზნის მისაღწევად გამოვიყენოთ სხვადასხვა პედაგოგიური ტექნოლოგიები.

ანგარიშის ფორმა № 2

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქიმიის დეპარტამენტის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ასოცირებული პროფესორი მაია რუსია

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

სახელმძღვანელოები

№1	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ISBN		
1	მ. რუსია	კითხვები და ამოცანები არაორგანულ ქიმიაში.	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.	
2	მ. რუსია	ზოგადი ქიმია კითხვებსა და პასუხებში. თბილისი.	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.	
3	ნ. ლევიშვილი, მ. რუსია	არაორგანულ ქიმია კითხვებსა და პასუხებში.	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.	

4.5. სტატიები

№	ავტორები	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვა	პუბლიკაციის სათაური, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში).
1.	L. Kakalashvili, D. Surmanidze, Maia Rusia	კონფერენციის მასალები	CRYSTAL FIELD THEORY FOR COMPLEX COMPOUNDS: MAIN ASPECTS. International Conference of Students and Young Scientists “CHEMISTRY TODAY AND IN FUTURE”; ICSYS-2018; November 16-17, 2018, Tbilisi, Georgia. Book of abstracts. p. 47-48. ISBN: 978-9941-13-772-3. Tbilisi University Press . Chemical Society of Georgia.
2.	D. Suknidze Maia Rusia	კონფერენციის მასალები	ELECTRONIC STRUCTURE OF COMPLEX COMPOUNDS: VALENCE BOND THEORY. International Conference of Students and Young Scientists “CHEMISTRY TODAY AND IN FUTURE”; ICSYS-2018; November 16-17, 2018, Tbilisi, Georgia. Book of abstracts. p. 58-59. ISBN: 978-9941-13-772-3. Tbilisi University Press. Chemical Society of Georgia

3.	T. Kutaleishvili, M. Ivanishvili, K. Giorgadze, M. Rusia	კონფერენციის მასალები	ELECTRONIC STRUCTURE OF COMPLEX COMPOUNDS: MOLECULAR ORBITAL METHOD. International Conference of Students and Young Scientists “CHEMISTRY TODAY AND IN FUTURE”; ICSYS-2018; November 16-17, 2018, Tbilisi, Georgia. Book of abstracts. p. 59-60. ISBN: 978-9941-13-772-3. Tbilisi University Press. Chemical Society of Georgia.
4.	ი. დიდბარიძე, მ. რუსია, ბ. გოგიჩიშვილი, ნ. კახიძე.	კონფერენციის მასალები	ზოგიერთ D-მეტალთა ტეტრათიოარსენატის ამიაკატური კომპლექსის სინთეზი და გამოკვლევა. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული – „თანამედროვე მეცნიერება და ინოვაციური პრაქტიკა“ ტომი II, ქუთაისი 2018, 16 ნოემბერი, გვ 147-150.
5.	მ. რუსია, მ. გვერდწითე- ლი	კონფერენციის მასალები	GANB-MATRICES AND COORDINATION COMPOUNDS. International Conference: “Bioactive Compounds, Antimicrobial and Biomedical Products & Materials for Protection of Human and Environment”. Book of abstracts. May 4-5, 2018; Tbilisi, Georgia.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიגיტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
მომხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქიმიის დეპარტამენტის ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მიმართულება.

მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე- თეა ლობჯანიძე

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
<p>პოლივინილ/პოლისტიროლის პოლიმერის გამოყენებით მომზადა $Ba_2Ca_2Cu_3O_x$ პრეკურსორი. მიღებული პრეკურსორის ტესტირება მოვახდინეთ რენტგენო ფაზური ანალიზი (XRD) საშუალებით. რენტგენო ფაზური გაზომვების დამუშავების შედეგად დავადგინეთ, რომ მიღებული პრეკურსორი შესდგება $BaCuO_2$ და Ca_2CuO_3 ფაზებისაგან და აქედან დომინირებს $BaCuO_2$ ფაზა, რაც სრულ თანხმობაშია პედეეფ-ფაილთან. მომზადებულ პრეკურსორს დაემატა HgO და I_2O_3 სხვადასხვა დოზით ($x=0.0$, $x=0.4$, $x=0.8$ wt.%, $x=1.2$ wt.% და $x=1.6$ wt.%), შეერია ერთმანეთს და დაიპრესა ნიმუშები. შემდგომში დაპრესილი ნიმუშები გამოიწვა ღუმელში საჭირო ტემპერატურაზე და საჭირო დროის განმავლობაში.</p> <p>ამთვისებლობის ნამდვილი ნაწილის ტემპერატურული დამოკიდებულების გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ზეგამტარულ მდგომარეობაში გადასვლა იწყება T_c 133,8 K -ზე და T_c მონოტონურად მცირდება ნიმუშებში Au-ის კონცენტრაციის გაზრდით. არადოპირებულ (0.0 wt.%) და (0.8 wt.%) დოზით დოპირებულ ნიმუშებში ტემპერატურის შემცირების დროს ამთვისებლობის მრუდზე დაიმზირება ორი პიკი, რომელიც გვიჩვენებს მაგნიტური ნაკადის ეკრანირებას გრანულებიდან და გრანულთშორის კავშირებიდან. სხვა დოზით დოპირებულ ნიმუშები აღარ გვიჩვენებენ ორ პიკს და მოდებული მაგნიტური ველის ნაკადის სრული ეკრანირება 0.8 wt.% დოზით დოპირებულ ნიმუშში მოხდა $T \sim 92$ K ტემპერატურაზე. მესამე ჰარმონიკის ტემპერატურაზე დამოკიდებულების მრუდებში, როდესაც $h=1$ ერსტედი, $f=20$ კილოჰერცი, $H=0$. მსგავსად ამთვისებლობის ნამდვილი ნაწილის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკისა აქაც არადოპირებულ და დაბალი კონცენტრაციით დოპირებულ ნიმუშებში $\chi_3(T)$ დამოკიდებულების მრუდზე დაიმზირება ორი</p>			

<p>პიკი. სადაც პირველი მაღალტემპერატურული პიკი შეესაბამება მაგნიტური ველების შეღწევას გრანულუმში და ასოცირდება გრანულთშიგა კრიტიკული დენით j_{cg} ხოლო დაბალტემპერატურული პიკი გამოწვეულია მაგნიტური ველების შეღწევით ჯოზეფსონურ კავშირებში და ასოცირდება გრანულთშორის კრიტიკულ დენებთან j_{cs}. გაზომილი მესამე ჰარმონიკის ამპლიტუდიდან გადათვლილი იყო კრიტიკული დენის სიდიდე. კრიტიკული დენის სიმკვრივე j_c არადოპირებული ნიმუშისა არის 70 ა/სმ² ხოლო 0.4 wt.% დოზით დოპირებული ნიმუშის შეადგენს 145 ა/სმ². მაშასადამე I₂O₃ დოპირებულ ნიმუშში კრიტიკული დენის სიმკვრივე გაიზარდა 2 ჯერ.</p>			
1	№ 211524; „პოლიმერიზაციის და სხვადასხვა დანამატების ზეგავლენა Hg-1223 ზეგამტარულ თვისებებზე“ – 2016–2019 წ	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	1.სამეცნიერო გრანტის თანახელმძღვანელი- თეა ლობჯანიძე თანამონაწილე ორგანიზაცია.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>1. პროექტის განხორციელების (მიმდინარეობის) მოკლე აღწერა:</p> <p>TlBa₂Ca₂Cu₃O_y მაღალტემპერატურულ ზეგამტარს გააჩნია ზეგამტარულ მდგომარეობაში გადასვლის ტემპერატურა დაახლოებით 115 კელვინზე, ხოლო T_c 130 K თუ იგი მომზადებულია მაღალი წნევის ქვეშ (3.5 GPa). ასევე, მაღალ მაგნიტურ ველებში ეს ზეგამტარი ამჟღავნებს შეუქცევადობას. ეს მახასიათებლები Tl-1223 ფაზას ხდის სასურველ მასალად პრაქტიკული გამოყენებისათვის. თალიუმი არის ძლიერ ტოქსიკური, აქვს აორთქლებადობის თვისება მაღალ ტემპერატურაზე და რაც მნიშვნელოვანია ამ ოჯახისათვის, მაღალი სისუფთავის ფაზის მიღება კრიტიკულად დამოკიდებულია გამოყენებულ პრეკურსორზე და სინთეზის პირობებზე. ზოლ-გელ მეთოდს აქვს შემდეგი უპირატესობები ყველა სხვა მეთოდთან შედარებით: მიიღწევა შემადგენელი კათიონების ერთგვაროვანი ნარევი ატომურ ზომამდე, გელიდან ხდება თხელი ფირების და ძაფების ფორმირება, რომელთაც ძალზედ დიდი ტექნოლოგიური მნიშვნელობა გააჩნიათ. შედეგად ორი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით: პოლიმერიზაცია ადგილზე და მოდიფიცირებული ზოლ-გელ მეთოდი, ჩვენ მივიღეთ კარგი, ქიმიურად ერთგვაროვანი და მაღალი რეაქციის უნარიანი პრეკურსორი, ხოლო მის ფუძეზე მივიღეთ ნიმუშები, სადაც Tl-1223 ზეგამტარი ფაზა შეადგენს 90%. პროექტის ფარგლებში ჩვენ ასევე შევისწავლეთ სხვადასხვა დოპანტების ზეგავლენა Tl-1223 -ის ზეგამტარულ თვისებებზე. შედეგად, დამუშავებული ტექნოლოგიების და მიღებული შედეგების საფუძველზე, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მოვამზადოთ ლენტები და თხელი ფირები.</p> <p>2. პროექტის შედეგი და ეფექტი:</p> <p>მიღებულია გაუმჯობესებული ფიზიკური თვისებების მქონე მაღალტემპერატურული ზეგამტარი ნიმუშები, ზეგამტარულ მდგომარეობაში გადასვლის T_c≈122 K ტემპერატურით. მიღებულ ნიმუშებში Tl-1223 ზეგამტარი ფაზა შეადგენს 90%, სველი ქიმიის გამოყენებით ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით ეკრანირებული კრიტიკული დენები J_c≈70 ა/სმ²-დან გაიზარდა J_c≈247 ა/სმ²-მდე, ეს არის</p>			

განპირობებული ჩვენს მიერ ზეგამტარი ნიმუშის შემადგენელი გრანულების ნანონაწილაკებამდე დაყვანით. საბოლოოდ დადგენილია ნიმუშების მიღების რეგლამენტი, რომელიც მათი სინთეზის განმეორადობის საშუალებას გვაძლევს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გრანტის ფარგლებში მიღებული შედეგების საფუძველზე უკვე შესაძლებელია შემდგომში შევქმნათ თხელი ფირები და ლენტოვანი ზეგამტარი მავთულები.

3. განხორციელებული პროექტის გავლენა მიმართულების სფეროზე ან მის განვითარებაზე:

პირველ რიგში პროექტი მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებისათვის. ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალი ტექნოლოგიური მიდგომები და მოხდა გარდევვა ამ მიმართულებით. კერძოდ: მაღალტემპერატურული ზეგამტარების სინთეზს და კვლევას სხვა ჯგუფებიც აკეთებდნენ და აკეთებენ (Y-ფუძიანი და Bi-ფუძიანი), მაგრამ TI-ფუძიანი ზეგამტარები პირველად შეიქმნა საქართველოში ამ პროექტის ფარგლებში, ვინაიდან მისი მომზადება არის გაცილებით რთული და სჭირდება მაღალი ტექნოლოგიები. ასევე ამ პროექტის ფარგლებში დამუშავებული იყო ახალი მიდგომა, ეგრეთ წოდებული მოდიფიცირებული ზოლ-გელ მეთოდი, რომელიც არის გაცილებით სწრაფი, ენერგო დამზოგი და მაღალტექნოლოგიური.

1	FR/261/6-260/14; „TI-ფუძიანი ზეგამტარების სინთეზი ზოლ-გელ მეთოდისა და პოლიმერიზაციის გამოყენებით“ – 2015–2018 წ	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	1.სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელი ლობჯანიძე წამყვანი ორგანიზაცია
---	--	---	--

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Lobzhanidze; I. Metskhvarishvili; K. Giorgadze	Synthesis and Characterization of MixedLigand Complexes of Arsenic-Organic Compounds	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences No.2 (vol.12), 2018	Tbilisi	
2	T. Lobzhanidze; K. ToTladze; M. Gverdsiteli	Mathematical-chemical investigation of AB ₄ type molecules within the scope of the GANB-MATRICES method	Georgian Engineering News No.2 (vol.86), 2018	Tbilisi	3

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური	ჟურნალის/კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	-----------------------------	-------------------	-------------------	---------------------

		საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	დასახელება და ნომერი/ტომი	გამომცემლობა	
1	I.R. Metskhvarishvili, T.E. Lobzhanidze, G.N. Dgebuadze, B.G. Bendeliani, M.R. Metskhvarishvili, V.M. Gabunia, L.T. Gugulashvili,.	“Sol-gel processing of precursor for synthesis of mercury-based superconductors”	“ Science and Technology of Polymers and Advanced Materials: Applied Research Methods ” Chapter 15 in Book,	Book Editors: Omari Mukbaniani, Marc J.M. Abadie, : <i>Applied Research Methods</i> ” Apple Academic Press,	In production Pub Date: July 2019 Hardback Price: see ordering info Hard ISBN: 9781771887533 Pages: Approx. 389p w/index Binding Type: Hardback
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Ketevan Totladze, Tea Lobzhanidze	Precursor Effects on superconductivity properties of Tl-1223 HTS	Tbilisi. ICSYS-2018 International Conference “CHEMISTRY TODAY AND IN FUTURE”
2	T. Lobzhanidze, I. Metskhvarishvili; K. Giorgadze	Synthesis and Characterization of Mixed-Ligand Complexes of Arsenic-Organic Compounds. Book of Abstracts, pp 63	2018 May 4-5 International Mini Symposium “Bioactive Compounds, Antimicrobial and Biomedical Products & Materials for Protection of Human and Environments” IMS-2018 Georgia, Tbilisi
3	თ. ლობჯანიძე; ქ. გიორგაძე	ოთხჩანაცვლებული არსონიუმის შერეულიგანდიანი ფსევდოჰალგენიდური აციდოკომპლექსები	თბილისი ENS 2018 http://conference.ens-2018.tsu.ge/

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	-----------------------------	---------------------	---------------------------------

1	T. Lobzhanidze, I. Metskhvarishvili	Effect of P2O5 Doping on the Superconducting Properties of Tl-based Superconductors.	<p>2018, 29 April 4 May 6th International Conference on superconductivity and magnetism- ICSM2018 Antalya, Turkey https://supermag.com.tr/icsm/2018/</p>
2	T. Lobzhanidze, I. Metskhvarishvili	<p><i>Influence of Silver Doping on the Superconducting Properties of Hg-1223 THS, Abstract ID No : 3145.</i></p>	<p>2018, 29 April 4 May 6th International Conference on superconductivity and magnetism- ICSM2018 Antalya, Turkey https://supermag.com.tr/icsm/2018/</p>
<p>მოსხენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)</p>			

სამეცნიერო ერთეულის დასახელება

ივ. ჯაგანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტი

- სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი –

მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი

ქ.მ.დ. პროფესორი ავთანდილ ქორიძე

1. *ქ.მ.დ. პროფესორი ავთანდილ ქორიძე, მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.*
2. როინ ჭედია, ქიმიის მეცნ. აკად. დოქტორი – ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (მენეჯერი)
3. ციალა კაკულია, ქიმიის მეცნ. დოქტორი – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
4. ლილი ჯანიაშვილი, ქიმიის მეცნ. აკად. დოქტორი – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
5. მარინე ბეროშვილი, ქიმიის მეცნ. აკად. დოქტორი – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
6. ოლიკო ლეკაშვილი – ქიმიის დოქტორი- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
7. თამარ ქორქია – მეცნიერ თანამშრომელი
8. გურამ ბეროშვილი – ტექნიკური მუშაკი
9. ლილიანა კაკაბაძე – ტექნიკური მუშაკი
10. ბენო ჯიოშვილი – ტექნიკური მუშაკი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2018 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4

	<p>გარდამავალ მეტალთა პინსერული კომპლექსები; სინთეზი, გამოყენება მცირე მოლეკულების აქტივაციაში და კატალიზში</p>	<p>პროექტი მრავალწლიანია, რადგან ისახავს ახალი პინსერული ლიგანდების დიზაინს, მათ ბაზაზე ახალი კომპლექსების მიღებას და სინთეზირებული კომპლექსების გამოყენებას კატალიზში და მცირე მოლეკულების აქტივაციაში (დაწყ.წ-2002)</p>	<p>ა. ქორიძე რ. ჭედია ო. ლეკაშვილი ც. კაკულია</p>
--	---	--	---

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

2018 წლის ერთ-ერთ ძირითად შედეგს წარმოადგენს რუთენოცენის ისეთი წარმოებულების სინთეზის შემუშავება, რომლებიც ერთ-ერთ ციკლოპენტადიენილ რგოლში შეიცავენ 1,2- ან 1,3-ფუნქციონალურ ჯგუფს (CHO ან CO_2Et), ხოლო მეორე რგოლი წარმოადგენს ტრიფტორმეთილ(ტეტრამეთილ)ციკლოპენტადიენილს, შესაბამისად $\{1,2-(\text{CHO})(\text{CO}_2\text{Et})\text{C}_5\text{H}_3\}\text{RuC}_5\text{Me}_4\text{CF}_3(1a)$ და $\{1,3-(\text{CHO})(\text{CO}_2\text{Et})\text{C}_5\text{H}_3\}\text{RuMe}_4\text{CF}_3(1b)$. 1,3-ფუნქციონალურად დიჩანაცვლებული მეტალოცენები გამოიყენება როგორც საწყისი ნაერთები მეტალოცენებზე დაფუძნებული P,C,P-ტიპის პინსერული კომპლექსების სინთეზში. როგორც ჩვენს ჯგუფში ადრე იყო ნაჩვენები, გარდამავალ მეტალთა პინსერული კომპლექსები ასეთი ტიპის ლიგანდებით ავლენენ არაჩვეულებრივ თვისებებს კატალიზში ორგანული სუბსტრატების მონაწილეობით (ალკანები, სპირტები) და მცირე მოლეკულების ($\text{H}_2, \text{O}_2, \text{N}_2$) აქტივაციაში. ჩვენვე მივანიშნეთ, თუ რა გავლენას ახდენენ სტერიული და ელექტრონული ფაქტორები პინსერული კომპლექსების კატალიზურ თვისებებზე (იხ.: *Organometallics* 2006, 25, 5466-5476; *Dalton Trans.* 2011, 40, 7201-7209; *Organometallics* 2010, 29, 4360-4368). მეტალოცენების ჩონჩხი, განსხვავებით ბენზოლისგან, წარმოადგენს სენდვიჩური აღნაგობის სისტემას, რომელშიც კატალიზურ ცენტრზე-ქელატირებული მეტალის ატომზე სივრცული მისაწვდომების თვალსაზრისით, შესაძლებელია გავლენა მოვახდინოთ არამეტალირებული ციკლოპენტადიენილური რგოლის მოდიფიკაციით. აქამდე ესეთი რგოლი წარმოადგენდა არაჩანაცვლებულ ციკლოპენტადიენილს C_5H_5 , ან პენტამეთილციკლოპენტადიენილს, C_5Me_5 . მეთილის ჯგუფის შეყვანა ციკლოპენტადიენილურ ლიგანდში იწვევს მის სივრცული მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას და აძლიერებს ელექტრონოდონორულ თვისებას არაჩანაცვლებულ ლიგანდთან შედარებით. ერთი მეთილის ჯგუფის ჩანაცვლება ციკლში C_5Me_5 , ტრიფტორმეთილის ჯგუფით კი იწვევს ოდნავ ლიგანდის მოცულობის ზრდას, ელექტრონული თვისება კი უცვლელი რჩება. ამის გამო,

ჩანაცვლებული რუთენოცენების სინთეზი რომლებიც შეიცავენ ლიგანდს $C_5Me_4CF_3$, წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს. კომპლექსები 1a და 1b მიღებულ იქნა ორვალენტოვანი რუთენიუმის კომპლექსებიდან, $[(C_5Me_4CF_3)RuCl]n$ და $[(C_5Me_4CF_3)Ru(MeCN)_3PF_6]$, მათი ურთიერთქმედებით პენტაფულვენებთან 1,2- $(Me_2NCH)(CO_2Et)C_5H_3$ და 1,3- $(Me_2NCH)(CO_2Et)C_5H_3$, შემდგომი, ჰიდროლიზით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1	S. V. Safronov, A. Pavlov, V. I. Sokolov, A.A. Koridze	Homoannular disubstituted ruthenocenes containing a trifluoromethyl(tetramethyl)cyclopentadienyl ligand	2018, 57(2), 255-259	Russian Chemical Bulletin, Int.Ed.

II. 1. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა საქართველოში

ავტორი/ავტორები	სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, ჟურნალის/კრებულის ნომერი
N.Barbakadze, T.Korkia, K.Sarajishvili, N. Jalabadze, R. Chedia	სარეაქციო არიდან გრაფენის ოქსიდის გამოყოფის დაჩქარებული მეთოდების დამუშავება. Development of Accelerated Methods for the Isolation of Graphene Oxide from Reaction Mixture.	World Forum on Advanced Materials - Polychar 26, 11-13 September, 2018, Tbilisi, Georgia. Book of abstracts
Sergey V. Safronov, Avthandil A. Koridze	Reduction of (1,3-diformylindenyl)cyclopentadienylruthenium derivatives	International conference of students and young stcientists “ Chemistry Today and in Future” Iv. Javakhishvili Tbilisi State University, 16-17 November 2018

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა უცხოეთში

№	ავტორი/ ავტორები	სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა ჟურნალის/ კრებულის ნომერი
1	I. Chaganava, R. Chedia, Qi-Huo Wei.	სხვადასხვა ტუტე მეტალის ორგანული ქრომოფორული მარილების ფუძეზე მიღებული პოლარიზაციულად მგრძობიარე კომპოზიტების ფო- ტონიზოტროპული თვისებების შესწავლა.	Conference on Optical Manufacturing and Testing XII, part of SPIE Optical Engineering + Applications, 19-23 August, 2018, USA, San Diego. <u>Proceedings Volume 10742, Optical Manufacturing and Testing XII; 107421K (2018) https://doi.org/10.1117/12.2324568</u>

ანგარიშის ფორმა № 2

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
არაორგანულ-ორგანული არატრადიციული ჰიბრიდული მასალების ს/კ ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა
ხელმძღვანელის მითითებით

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:

ნოდარ ლეკიშვილი, პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის
დეპარტამენტის ემერიტუს პროფესორი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- ხათუნა ბარბაქაძე – განყოფილების გამგე, ქიმიის აკადემიური დოქტორი
 - რუსუდან გიგაური – განყოფილების გამგე, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
 - ლილი არაბული - ქიმიის მეცნ. კანდიდატი
 - მაია თათარიშვილი – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
 - ნინო ქოქიაშვილი – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
 - სოფიო კობაური – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
 - ქრისტინე გიორგაძე – ქიმიის მეცნ. კანდიდატი, ასისტენტ პროფესორი
 - ელიზავეტა ცხაკაია – ქიმიის აკადემიური დოქტორი, მეცნიერ თანამშრომელი
 - რუსუდან ხოსიტაშვილი – ქიმიის აკადემიური დოქტორი, მეცნიერ თანამშრომელი
 - მარიამ კობიაშვილი – ქიმიის მაგისტრი, უფროსი ლაბორანტი
 - მარინა გახუტიშვილი – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
-

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
	ანტიბიოკოროზიული ჰიბრიდული კომპოზიტები*	ნოდარ ლეკიშვილი ხათუნა ბარბაქაძე	ხათუნა ბარბაქაძე - პასუხის-მგებელი შემსრულებელი მაია თათარიშვილი ქრისტინე გიორგაძე ნინო ქოქიაშვილი მარიამ კობიაშვილი
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p style="text-align: center;">ანტიმიკრობული ჰიბრიდული კომპოზიციური საფრები კონტროლირებადი თვისებებით (ეტაპი I)*</p> <p>გარემოში მავნე მიკროორგანიზმების მზარდი პოპულაციით სტიმულირებული ბიოკოროზიული პროცესების შედეგად, მთელი რიგი ბუნებრივი და სინთეზური მასალისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (სამუზეუმო ექსპონატები, არქეოლოგიური ნიმუშები) ფიზიკურ-ქიმიური თვისებები შეუქცევადად უარესდება, მიმდინარეობს მათი ბიოდეგრადაცია, რაც მრეწველობისა და ტექნიკის მრავალ დარგს ყოველწლიურად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აყენებს. ამიტომ მიკრობიოლოგიური უსაფრთხოებისადმი მოთხოვნის გაზრდის კვალდაკვალ ადამიანსა და გარემოზე აგრესიული მიკროორგანიზმების მავნე მოქმედების მაინჰიბირებელი ახალი, ეფექტური საშუალებებისა და ბიოკოროზიული პროცესების პრევენცია-კონტროლის მეთოდების ძიება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა.</p> <p>ახალი ანტიმიკრობული/ფუნგიციდური საშუალებების ძიებისას, პერსპექტიულად გვესახება მოლეკულაში მეტალოცენური, პოლიციკლური სტრუქტურებისა, ბიოგენური მეტალების და მეტალთა ოქსიდების შემცველი ახალი ჰიბრიდული სისტემების განვითარება, რომელთა გამოყენება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებელ ბიოაქტიურ ნაერთებად ფართოდ გავრცელებული დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნეები, ანემია, მალარია, სტაფილოკოკური ინფექციები) სამკურნალოდ, ისე ანტიმიკრობული კომპოზიციური მასალების ბიოაქტიურ კომპონენტებად.</p> <p>სპეციფიკური თვისებების მქონე ბიოაქტიური ჰიბრიდული მასალების მიმართულებით შემუშავებულ თანამედროვე ტექნოლოგიებში გამოყენების პერსპექტივა აქვს სხვადასხვა ფუნქციური ჯგუფების ერთდროულად შემცველ პოლიფუნქციურ პოლიმერებს, რომლებსაც რეგულარული სტრუქტურის მქონე ხაზოვანი მაკროჯაჭვები გააჩნია, მათ შორისაა პოლიფუნქციური (აზოტშემცველი) ჰეტეროჯაჭვური ორგანული პოლიმერები (პოლიურეთანული ელასტომერები, პოლიურეთან-აკრილატები და ა.შ.).</p>			

ზოგიერთი განსაკუთრებული მახასიათებლის (არააქროლადობა, დაბალი ზედაპირული დაჭიმულობა, ჰიდროფობურობა, მოქნილობის შენარჩუნება დაბალ ტემპერატურებზე, თერმული ჟანგვისადმი და ხილული სინათლისადმი მაღალი მდგრადობა) მქონე ოლიგოორგანოსილოქსანების ჩვენ მიერ გამოყენებამ მატრიცებად გამოყენებული ორგანული პოლიმერების მოდიფიკატორებად საფუძველი ჩაუყარა დამცავი საფრების დამზადებისა და განვითარების სრულიად ახალ ტექნოლოგიას, რამაც შესაძლებელი გახადა არსებული თვისებების გაუმჯობესება და გამოყენების სფეროების გაფართოება.

კვლევის მეთოდика

ბიოაქტიური კომპოზიტები ჰეტეროჯაჭვური პოლიმერების ბაზაზე დამზადდა ლაბორატორიული შემრევების გამოყენებით. ბიოაქტიური კომპონენტების შემცველი ჰიბრიდული პოლიმერული მასალები შემუშავდა ხსნარში რადიკალური ფრონტული თანაპოლიმერიზაციის მეთოდით.

ინფრაწითელი სპექტრები გადაღებულ იქნა სპექტროფოტომეტრზე Perkin Elmer FT-IR Spectrum BX 11, KBr-ის მონოკრისტალსა ($350-7000 \text{ cm}^{-1}$) და ვაზელინის ზეთში.

თერმული მდგრადობა დადგენილ იქნა დიფერენციულ-თერმული და თერმოგრაფიმეტრიული ანალიზების მეთოდებით Perkin Elmer TGA7 თერმოგრაფიმეტრზე, ტემპერატურული ინტერვალი $50^{\circ}\text{C}-800^{\circ}\text{C}$, გაცხელების სიჩქარე $20^{\circ}\text{C}/\text{წთ}$, მშრალი აზოტის არეში.

DSC ანალიზი განხორციელებულ იქნა დიფერენციული მასკანირებელი კალორიმეტრის "NETZSCH DSC 200" F3 მეშვეობით. ტესტები ჩატარდა მშრალი აზოტის არეში, ტემპერატურული ინტერვალი $-100^{\circ}\text{C}-$ დან $+300^{\circ}\text{C}$ -მდე, გაცხელების სიჩქარე $5^{\circ}\text{C}/\text{წთ}$.

ტესტი კაწვრადობაზე ჩატარებულ იქნა ხელსაწყოს Micro-Scratch Tester (MST) /CSM, Neuchatel, შვეიცარია, პროგრამული უზრუნველყოფით CSEM Scratch Software Version 2.3/ გამოყენებით, რომელიც ნიმუშებისთვის იყენებს ზრდად ძალას 0-დან 30.0 N-მდე ანდა მუდმივ ძალას ოთახის ტემპერატურაზე (25°C). იმავე ჭრილის შემდგომი მრავალრიცხოვანი კაწვრადობა იძლევა შედეგების მცოცავ ცვეთადობას (SWD/ცვეთისადმი მდგრადობა). მოცემულ კვლევაში კაწვრადობისადმი მდგრადობის განსაზღვრისთვის შერჩეულ იქნა სამი ძირითადი პარამეტრი: შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმი (R_p); ნაშთის სიღრმე (R_h) და ბლანტდრეკადობის აღდგენა $\varphi = (R_p - R_h)/R_p \cdot 100 \%$.

მასალების კაწვრადობისადმი მდგრადობისა და მათი ხესა და პლასტმასაზე ადჰეზიის უნარის შესწავლის მიზნით შესრულებულ იქნა კაწვრადობის პროგრესული ტესტირება.

დინამიური ხახუნი განსაზღვრულ იქნა ტრიბომეტრის Nanovea pin-on-disk [440 ფოლადის ბურთულიანი Micro Photonics] გამოყენებით. თითოეული ტესტისთვის გამოყენებულ იქნა ახალი ბურთულა დიამეტრით 3.2 მმ.

მიღებული მასალების ზედაპირის მორფოლოგიის შესასწავლად გამოყენებულ იქნა Nikon Eclipse ME 600 მიკროსკოპი, ხოლო საექსპლუატაციო მახასიათებლების გამოსაცდელად შესწავლილ იქნა იზოთერმული დაბერებისა და სხვადასხვა ფაქტორების (ხილული სინათლე, სინესტე, ჰაერის ჟანგბადი, ნახშირბადის დიოქსიდი) კომპლექსური მოქმედების მიმართ მდგრადობა, აგრეთვე ტენის შთანთქმისუნარიანობა გრავიმეტრიული მეთოდით.

მიღებული შედეგების განსჯა

წარმოდგენილი კვლევის მიზანია სპეციფიკური თვისებების მქონე სხვადასხვა მოლეკულური სტრუქტურის მრავალმხრივი კომბინაციით შერწყმითა და მათი ურთიერთშეთანხმების კონტროლის გზით ახალი არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალების განვითარება და მათი გამოყენება არქეოლოგიური ნიმუშებისა და სამუზეუმო ექსპონატების ხანმოკლე ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში დასაცავად.

ანტიმიკრობული დამცავი საფრებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი თვისებების გაუმჯობესება: ა) თერმოფიზიკური თვისებები - მოქნილობა, რაც დაკავშირებულია ფაზური გადასვლებისა და თერმოჟანგვითი სტაბილურობის კვლევებთან; ბ) ტრიბოლოგიური მახასიათებლები, როგორცაა დინამიური ხახუნი, კაწვრადობისადმი მდგრადობა, ზედაპირის მორფოლოგია; გ) საექსპლუატაციო მახასიათებლები - ბიოაქტიური კომპოზიტების მდგრადობა თერმო- და ფოტო-დაბერების, აგრეთვე ტენის, ჰაერის ჟანგბადის, ნახშირბადის დიოქსიდის და ხილული სინათლის კომპლექსური მოქმედებისადმი. ამავე დროს, როგორც წესი, დამცავმა საფრებმა გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედება არ

უნდა მოახდინოს.

ფუნქციონირებული ფთორშემცველი პოლიმერების სინთეზი


მაკრომოლეკულაში ერთდროულად C-F და ეპოქსიჯგუფების შემცველი თანაპოლიმერების მიღება

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ფთორორგანული პოლიმერების გამოყენება დაფუძნებულია C-F ბმის უნიკალურ თვისებებზე, კერძოდ მცირე პოლარიზებადობა, დიდი ქიმიური მდგრადობა და სიმტკიცე (450-460 კჯ/მოლი), მაღალი თერმო- და ჰიდროლიტური მდგრადობა, მდგრადობა მზის სინათლის (ხილული და ულტრაიისფერი გამოსხივება) მოქმედების მიმართ (არ აღაგზნებს მზის სინათლის ქვანტი); მდგრადობა ზეთებისა და ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული ბევრი ორგანული გამხსნელის მიმართ. მსოფლიოში ცნობილი მთელი რიგი ფირმები: „დიუპონი“, „ასახი გარასუ“, „კენეო“, „მიცუბისი რეიონ“ და სხვ. აწარმოებენ და წარმატებით ახდენენ ისეთ ფთორშემცველი მაღალ- და დაბალ-მოლეკულური ნაერთების და მასალების დისტრიბუციას, როგორებიცაა თერმულად და ქიმიურად მდგრადი დამცავი საფრები, ანტიკოროზიული და ტენმედეგი მასალები, ქიმიურად მდგრადი და თერმომდგრადი ზეთები, ელექტრეტები, ოპტიკური ბოჭკოების შუქამრეკელი გარსები და მრავალი სხვა. შესაბამის მასალებზე მოთხოვნა ამ ათწლეულის ბოლომდე ყოველწლიურად დაახლოებით 5-6%-ით იზრდება.

მიუხედავად ფთორორგანული პოლიმერების ასეთი უნიკალური თვისებებისა, მათ ახასიათებთ ანტიბიოკოროზიულ მატრიცებში გამოყენებულ პოლიმერებთან, - პოლიურეთანებთან და პოლიეპოქსიდებთან შედარებით უარესი ადჰეზიური თვისებები, რაც განსაკუთრებით „Long-term action“ დამცავი საფრების დასამზადებლად, სუფთა სახით, ნაკლებად გამოყენებადი იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოს მიზანს შეადგენდა ახალი ტენმედეგი და მექანიკურად მტკიცე ფთორშემცველი პოლიმერების დასასინთეზებლად საწყის მონომერებად შედარებით ხელმისაწვდომი და მაღალი რეაქციისუნარიანობის მქონე პერფთორალკილმეთაკრილატების (F_nMA) შერჩევა, რომელთა თანაპოლიმერიზაციით ადჰეზიური ფუნქციური ჯგუფების შემცველ, უკვე სერიულად წარმოებულ ეპოქსიდურ ვინილურ მონომერთან, ალილგლიციდოლთან (ალილგლიციდილის ეთერთან) შესაძლებელი გახდება პოლიპერფთორალკილმეთაკრილატების ფუნქციონალიზაცია მათ მაკროჯაჭვში ადვილად გამყარებადი ეპოქსი-ჯგუფების შეყვანით.

წინასწარ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, თანამონომერები ადვილად იქნა 1:1 და 7:3 მოლური შეფარდებით. რეაქცია მიმდინარეობს სილიკონური (პოლიდიმეთილსილოქსანი - პმს-100) ზეთის აბაზანაზე, 1% ბენზოილის პეროქსიდის (BP) თანაობისას, 70-85°C-ზე მშრალი არგონის არეში 4-5 სთ-ის განმავლობაში ძლიერ ბლანტი, გამჭვირვალე მასის წარმოქმნამდე, რომელიც წარმოადგენს თანაპოლიმერების (სურ. 1) ხსნარს შესაბამის მონომერებში. ხელსაყრელია მათი სუბსტრატად გამოყენება ეპოქსიდების ეფექტური გამამყარებლით, - ჰექსამეთილენდიამინით (HMDA) ბიოაქტიური ნაერთების შემცველი კომპოზიციების გამყარების პირობებში, ადვილად გადარევის და ზედაპირზე დატანების გამო.



სურათი 1. ფუნქციონირებული ფთორმეტაკრილატის ზოგადი სტრუქტურა

მიღებული თანაპოლიმერის აგებულების დადგენის მიზნით ის გამოლექილ იქნა სუფთა ეთილაცეტატის ხსნარიდან ჰექსანით. ტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის შემთხვევაში გამოილექა მყარი, ხისტი, მექანიკურად მტკიცე თანაპოლიმერის სახით, ხოლო ოქტაფთორპენტილმეტაკრილატის და დეკაფთორჰექსილმეტაკრილატის შემთხვევაში, ელასტიური გამჭვირვალე მყარი მასის ან მყიფე გამჭვირვალე მასის სახით. რეაქციის პროდუქტის გამოსავლიანობამ შეადგინა 70-80%. კაპილარულ ვისკოზიმეტრში განსაზღვრული მათი ეთალაცეტატის 1%-იანი ხსნარის დაყვანილი სიბლანტის სიდიდე იცვლება 0.15-0.44 დლ/გ ინტერვალში, რომლის მნიშვნელობა და თანაპოლიმერების გამოსავლიანობა დამოკიდებული აღმოჩნდა მონომერების მოლურ თანაფარდობაზე, ფთორ-

ალკილის ფრაგმენტის სიგრძესა და რეაქციის ტემპერატურაზე. ასე, მაგალითად, თანაპოლიმერის F₄MA:AGE (1:1) ხვედრითი სიბლანტე (η_{sp}) ეთილაცეტატში 0.19 დლ/გ-ია, ხოლო იგივე მონომერების თანაპოლიმერის ხვედრითი სიბლანტე იმავე გამხსნელში, 7:3 მოლური თანაფარდობისას 0.44 დლ/გ-ია, მაშინ, როდესაც ანალოგიურ პირობებში განსაზღვრული თანაპოლიმერის - F₈MA:AGE (1:1) ხვედრითი სიბლანტე 0.15დლ/გ-ია, რაც ადასტურებს ალილგლიციდოლის ალილის ჯგუფის α -წყალბადის მონაწილეობით ე.წ. დეგრადაციული ინჰიბირების პროცესის დამოკიდებულებას მონომერების მოლურ თანაფარდობასა და ფორმეტაკრილატის მონომერის ფორალკილის რადიკალის ჯაჭვის სიგრძეზე.


არსებული ლიტერატურული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, შედარებით დაბალმოლეკულური თანაპოლიმერების წარმოქმნა დაკავშირებული უნდა იყოს ალილური მონომერის ჟანგბადთან დაკავშირებული C-H-ბმის წყალბადატომების მაღალი ძვრადობის გამო, თანაპოლიმერიზაციის რადიკალური მექანიზმის მათ მინჰიბირებელ (დეგრადაციულ) ეფექტთან. ეპოქსიდური რიცხვის (ერ) განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ თანაპოლიმერებში მონომერების მოლური თანაფარდობა არ შეესაბამება საწყის ნარევიში მათ მოლურ თანაფარდობას ($n > k$, $l < m$). კერძოდ, თანაპოლიმერში ალილგლიციდილის ეთერის ნაშთი გაცილებით ნაკლებია მონომერების საწყის ნარევიში მათ შემცველობაზე. ამას ადასტურებს თანაპოლიმერების ინფრაწითელ სპექტრებში ეპოქსიდური ჯგუფისთვის დამახასიათებელი შთანთქმის სუსტი ზოლი, აგრეთვე ეპოქსიდური რიცხვის მნიშვნელობა.

წარმოქმნილი თანაპოლიმერების იწ სპექტროსკოპიით შესწავლამ აჩვენა, რომ სტანდარტულ პირობებში გადაღებულ სპექტრებში შეინიშნება: 1739-1750 cm^{-1} (C=O) - ესთერის; 1633-1665 cm^{-1} (C=O) - კარბონილის; 3000-3002, 1370-1410 cm^{-1} (CH₃) - ალკილის; 830, 915-925, 1245-1262 cm^{-1} - ეპოქსი-ჯგუფებისთვის დამახასიათებელი შთანთქმის ზოლები, აგრეთვე CH₂, C-H და C-F ჯგუფებისთვის დამახასიათებელი შთანთქმის ზოლები (2905-2910, 1070-1230 cm^{-1}).


ჰიბრიდულ კომპოზიტებში გამოყენებული იქნა:

ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტები: BC-1, BC-2, BC-3 და BC-4


BC-1:




BC-2:



BC-3:



BC-4:



HMDA: ჰექსამეთილენდიამინი (გამამყარებელი).

მიღებული ფუნქციონირებული ფთორორგანული პოლიმერებისა და ბიოაქტიური კომპონენტების (BC-1, BC-2, BC-3 და BC-4) ბაზაზე შემუშავებულ იქნა ანტიმიკრობული კომპოზიტები და ჰიბრიდული მასალები (ცხრილი 1, სურათი 1).

ცხრილი 1. ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების შემცველი პოლიმერული კომპოზიტები და ანტიმიკრობული ჰიბრიდული მასალები

ჰიბრიდული კომპოზიტი		ჰიბრიდული კომპოზიტი	
I	F ₄ MA-AGE 1:1 / 5% HMDA	XIX	F ₈ MA -AGE 1:1 / 3% BC-4 / 7% HMDA
II	F ₄ MA -AGE 1:1 / 3% BC-1 / 5% HMDA	XX	F ₈ MA -AGE 1:1 / 10% HMDA
III	F ₄ MA -AGE 1:1 / 3% BC-2 / 5% HMDA	XXI	F ₈ MA -AGE 1:1 / 3% BC-3 / 10% HMDA
IV	F ₄ MA -AGE 1:1 / 3% BC-3 / 5% HMDA	XXII	F ₈ MA -AGE 7:3 / 7% HMDA
V	F ₄ MA -AGE 1:1 / 3% BC-4 / 5% HMDA	XXIII	F ₈ MA -AGE 7:3 / 3% BC-1 / 7% HMDA
VI	F ₄ MA -AGE 1:1 / 7% HMDA	XXIV	F ₈ MA -AGE 7:3 / 3% BC-2 / 7% HMDA
VII	F ₄ MA -AGE 1:1 / 3% BC-1 / 7% HMDA	XXV	F ₈ MA -AGE 7:3 / 3% BC-3 / 7% HMDA
VIII	F ₄ MA -AGE 1:1 / 3% BC-3 / 7% HMDA	XXVI	F ₈ MA -AGE 7:3 / 3% BC-4 / 7% HMDA
IX	F ₄ MA -AGE 1:1 / 10% HMDA	XXVII	F ₈ MA -AGE 7:3 / 10% HMDA
X	F ₄ MA -AGE 1:1 / 3% BC-3 / 10% HMDA	XXVIII	F ₈ MA -AGE 7:3 / 3% BC-3 / 10% HMDA
XI	F ₄ MA -AGE 7:3 / 7% HMDA	XXIX	F ₁₂ MA-AGE 1:1 / 7% HMDA
XII	F ₄ MA -AGE 7:3 / 3% BC-3 / 7% HMDA	XXX	F ₁₂ MA -AGE 1:1 / 3% BC-1 / 7% HMDA
XIII	F ₄ MA -AGE 7:3 / 10% HMDA	XXXI	F ₁₂ MA -AGE 1:1 / 3% BC-2 / 7% HMDA
XIV	F ₄ MA -AGE 7:3 / 3% BC-3 / 10% HMDA	XXXII	F ₁₂ MA -AGE 1:1 / 3% BC-3 / 7% HMDA
XV	F ₈ MA-AGE 1:1 / 7% HMDA	XXXIII	F ₁₂ MA -AGE 1:1 / 3% BC-4 / 7% HMDA
XVI	F ₈ MA -AGE 1:1 / 3% BC-1 / 7% HMDA		
XVII	F ₈ MA -AGE 1:1 / 3% BC-2 / 7% HMDA		
XVIII	F ₈ MA -AGE 1:1 / 3% BC-3 / 7% HMDA		



სურათი 1. მიღებული ანტიმიკრობული საფრების ნიმუშების ფოტოები

თერმოფიზიკური თვისებების შესწავლა

მიღებული თანაპოლიმერებისა და მათ ბაზაზე დამზადებული პოლიმერული ჰიბრიდული მასალების თერმოქანგითი მდგრადობა და ფაზური გადასვლების ტემპერატურები დადგენილ იქნა დიფერენციულ-მასკანირებელი კალორიმეტრის (დმკ) და თერმოგრაფიმეტრიული ანალიზის (თგა, დთა) მეშვეობით.

დიფერენციულ-მასკანირებელი კალორიმეტრი (DSC) ანალიზი: DSC კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ საკვლევი მასალები ამორფულია (არ ჩანს კრისტალიზაციისთვის დამახასიათებელი ეგზოთერმული პიკი) და ლღობის გადასვლები არ შეინიშნება. მიღებულ მრუდებზე ენდოთერმული პიკები შეესაბამება ტესტირებული ნიმუშების გამინების ტემპერატურას (T_g). ტესტირებული ჰიბრიდები ხასიათდება გამინების გადასვლის ინტერვალით 125–230°C ტემპერატურულ ინტერვალში. დიფერენციულ-მასკანირებელი კალორიმეტრიული კვლევებით დადგენილ იქნა ასევე გამინების მდგომარეობის ფაზური გადასვლები, ე.წ. β გადასვლები. კერძოდ, საშუალოდ -33°C-დან -43°C-მდე ტემპერატურულ ინტერვალში ნაჩვენებია β ფაზური გადასვლები (T_β). ამასთან, ბიოაქტიური ნაერთების დამატება ზრდის დაბალი ტემპერატურის ამორფული ფაზის მდგრადობას.

თერმოგრაფიმეტრიული ანალიზი (TGA):

სუფთა და მოდიფიცირებული ჰიბრიდების (ცხრ. 1) თერმული მდგრადობისა და დესტრუქციის ქცევის შესაფასებლად ჩატარებულ იქნა თერმოგრაფიმეტრიული კვლევები Perkin Elmer TGA7 თერმოგრაფიმეტრზე.

ტესტირებულ იქნა თითოეული მშრალი ნიმუშის 10-20 მგ. თერმული მდგრადობის პარამეტრები, - დესტრუქციის ტემპერატურა (T_{dec} , °C), მასის კლება (%) და დესტრუქციის მაქსიმალური ტემპერატურა (T_{max} , °C), რომლის შემდეგაც ცვლილებები აღარ შეინიშნება, მოცემულია ცხრილში 2.

TGA მონაცემებიდან ჩანს, რომ 1,1,3-ტრიჰიდროქტრაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცები და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტები მდგრადია 420°C-მდე, ხოლო მასის კლება 420-455°C ტემპერატურულ ინტერვალში შეადგენს 25-37 %-ს (ცხრილი 2).

ფთორალკილის ჯაჭვის გაზრდით შესაბამისი ჰიბრიდების თერმული მდგრადობა იზრდება, კერძოდ, 1,1,5-ტრიჰიდროქტრაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან რადიკალური

თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცები და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტები მდგრადია 440°C-მდე; მასის კლება კი 440-455°C ტემპერატურულ ინტერვალში შეადგენს 18-30 %-ს. ხოლო 1,1,7-ტრიჰიდროდოდეკაფთორპროპილმეტაკრილატის ბაზაზე მიღებული ჰიბრიდების მასის კლება 432-437°C ტემპერატურულ ინტერვალში შეადგენს 29-37 %-ს.

ცხრილი 2. პერფორალკილმეტაკრილატების ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტების TGA მონაცემები

ჰიბრიდ. კომპ.	T _{dec} , C	მასის კლება, %	T _{max} , C	ჰიბრიდ. კომპ.	T, C	მასის კლება, %	T _{max} , °C
I	438.09	25.634	440	XVIII	439.27	27.908	440
II	433.58	37.456	435	XX	446.82	27.082	450
III	440.84	34.361	445	XXI	441.34	17.792	445
IV	440.81	24.869	445	XXII	435.54	30.507	440
V	428.89	37.428	430	XXIV	446.76	30.620	450
VI	441.89	30.486	445	XXV	434.04	26.613	440
VIII	443.92	26.695	445	XXVII	453.17	26.869	455
IX	453.03	28.682	455	XXVIII	436.68	26.835	440
X	453.60	33.770	455	XXIX	432.11	37.14	435
XI	434.41	31.326	435	XXXII	436.78	28.508	440
XIII	442.29	26.977	445				
XIV	418.53	33.529	420				
XV	439.12	28.095	440				

ტრიბოლოგიური თვისებების შესწავლა

მცოცავი ცვეთადობის (კაწვრადობის) შედეგები

ნიმუშების მცოცავი ცვეთადობა (SWD) განსაზღვრულ იქნა იმავე ჭრილის მრავალრიცხოვანი კაწვრადობის მეშვეობით მუდმივი ძალის გამოყენების პირობებში ხელსაწყოზე - Micro Scratch Tester (MST) [CSM, Neuchatel, შვეიცარია, პროგრამული უზრუნველყოფით CSEM Scratch Software Version 2.3].

ტესტირებისას მიიღება სიღრმის დიაგრამა, როგორც კაწვრადობის რიცხვის ფუნქცია. ტესტებში გამოყენებულ იქნა შემდეგი პარამეტრები: კაწვრადობის სიგრძე 5.0 მმ, დატვირთვა 5.0 N. აგრეთვე “კონუსისებრი ბრილიანტი” 200 μm დიამეტრით და 120° კონუსის კუთხით. დეტალური ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა კაწვრადობის დიაპაზონის საშუალო წერტილი - 2.5 მმ. თითოეული ნიმუშისთვის განხორციელებულ იქნა კაწვრადობის 10 ტესტი; კაწვრადობის სიჩქარე - 10.0 მმ/წთ ოთახის ტემპერატურაზე.

მრავალრიცხოვანი კაწვრადობის ტესტებიდან მიღებულ იქნა შედეგადობის სიღრმის მაქსიმუმისა (R_p) და ნაშთის სიღრმის (R_h), რითაც დადასტურდა, რომ მოდიფიკაციით უმჯობესდება კომპოზიტების მიკროკაწვრადობით მყისიერი დეფორმაციისადმი მდგრადობა. გამოყენებული დატვირთვის (5.0 N)

დროს 1,1,3-ტრიჰიდროტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან (F₄MA-AGE - 1:1) რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტების პირველადი შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმი საშუალოდ მერყეობს 98-110 μm -ს შორის, მაშინ, როდესაც საბაზისო პოლიმერული მატრიცის $R_p \approx 123 \mu\text{m}$ -ია. გამამყარებლის მასური წილის 5 მას. %-დან 7 მას. %- და 10 მას. %-მდე გაზრდა ასევე იწვევს საბაზისო პოლიმერული მატრიცის შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმის შემცირებას საშუალოდ 123 μm -დან 64 μm -მდე და 59 μm -მდე შესაბამისად.


პოლიმერულ მატრიცებში 1,1,3-ტრიჰიდროტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის მოლური თანაფარდობის გაზრდა (F₄MA-AGE - 7:3), როგორც მოსალოდნელი იყო, კონტროლდუქტიულია შესაბამისი რეცეპტურით დამზადებულ პოლიმერულ მატრიცებთან შედარებით და ხასიათდება შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმის შედარებით მაღალი მნიშვნელობით (ნახ. 1; XIII-XIV). თუმცა აღნიშნული და F₄MA-AGE 1:1 / 5 მას.% HMDA რეცეპტურით დამზადებული პოლიმერული მატრიცების შედარებით ცხადია, რომ მიკროკაწვრადობით მყისიერი დეფორმაციისადმი უკეთესი მდგრადობით ხასიათდება F₄MA-AGE 7:3 / 10 მას.% HMDA რეცეპტურით დამზადებული პოლიმერული მატრიცა.

აღსანიშნავია, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, მოდიფიცირებულ პოლიმერულ მატრიცებში ბიოაქტიური ნაერთების დოპირებით მიღებულ ჰიბრიდულ კომპოზიტებში ძირითადად შეინიშნება R_p -ს მნიშვნელობის უმნიშვნელოდ (საშუალოდ დაახლ. 20-25 μm -ით) გაზრდა, რაც შეიძლება აიხსნას მათი სივრცითი სტრუქტურით.

მიღებული შედეგების ანალიზიდან ჩანს, რომ ტესტირებულ მასალებს (მაგ., ცხრ. 1, I- XIV) შორის R_p -ის მნიშვნელობის მაქსიმალურ შემცირებას და შესაბამისად, მცოცავი ცვეთადობისადმი საუკეთესო მდგრადობას იძლევა F₄MA-AGE 1:1/10 მას.% HMDA რეცეპტურით დამზადებული პოლიმერული მატრიცა და მის ბაზაზე მიღებული ჰიბრიდული კომპოზიტი.

1,1,5-ტრიჰიდროოქტაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან (F₈MA-AGE - 1:1) რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტების (ცხრ. 1., XV-XXI) შემთხვევაშიც გამამყარებლის მასური წილის 7 მას. %-დან 10 მას. %-მდე გაზრდით შეინიშნება კომპოზიტების მიკროკაწვრადობით მყისიერი დეფორმაციისადმი მდგრადობის გაუმჯობესება. მიღებულ ჰიბრიდულ კომპოზიტებში ბიოაქტიური ნაერთების დოპირებით შეინიშნება R_p -ს მნიშვნელობის უმნიშვნელოდ (საშუალოდ დაახლ. 10-25 μm -ით) გაზრდა. ამასთან, ბიოაქტიური ნაერთებით მოდიფიცირებული მასალებიდან აღნიშნული ტესტირებისას საუკეთესო შედეგს იძლევა BC-3-ით მოდიფიკაცია (ცხრ. 1.; XVIII).

ნახაზზე 3 მოცემულია 1,3-ტრიჰიდროტეტრა- და 1,1,5-ტრიჰიდროოქტაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმების მნიშვნელობათა შედარება. მიღებული შედეგების ანალიზიდან ნაჩვენებია, რომ საბაზისო პოლიმერულ მატრიცებს შორის R_p -ის მნიშვნელობის მაქსიმალური შემცირებით ხასიათდება F₄MA-AGE 1:1 / 10 მას.% HMDA რეცეპტურით დამზადებული პოლიმერული მატრიცა (ნახ. 3; IX). ამასთან, სხვადასხვა თანაპოლიმერის ბაზაზე მიღებული, მსგავსი რეცეპტურის მქონე მატრიცების ტესტირების შედეგების შედარებით ნაჩვენებია, რომ მცოცავი ცვეთადობისადმი მდგრადობა განისაზღვრება გამოყენებული პერფთორალკილმეტაკრილატების აგებულებით, კერძოდ, კაწვრადობისადმი უკეთესი მდგრადობით ხასიათდება ფთორალკილის მცირე ჯაჭვის სიგრძის მქონე ფთორმეტაკრილატური თანაპოლიმერების ბაზაზე დამზადებული პოლიმერული მატრიცები (ნახ. 1; XI და XV; XIII და XX შესაბამისად).




ნახაზი 1. 1,1,3-ტრიჰიდროტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის და 1,1,5-ტრიჰიდროოქტაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების შედარებით სიღრმის მაქსიმუმში, როგორც კაწვრადობის რიცხვის ფუნქცია 5.0 N მუდმივი ძალის გამოყენებისას


ამგვარად, მრავალიცხოვანი კაწვრადობის ტესტებიდან ჩანს, რომ მიკროკაწვრადობით მყისიერი დეფორმაციისადმი მდგრადობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანაპოლიმერების აგებულება და მიღებული მასალების რეცეპტურა.

რაც შეეხება ზედაპირის დაზიანებული სტრუქტურის აღდგენის ფუნქციას, ფთორმეტაკრილატური თანაპოლიმერების ბაზაზე მიღებული ყველა ტესტირებული პოლიმერული მატრიცისა და ჰიბრიდული კომპოზიტისთვის ბლანტდრეკადობის აღდგენის [φ, განსაზღვრული ფორმულით (1)] მნიშვნელობა მერყეობს დიაპაზონში 53-97 %. ამასთან ნაჩვენებია, რომ მოდიფიკაციით მნიშვნელოვნად უმჯობესდება ჰიბრიდული მასალების ბლანტდრეკადობის აღდგენა (ნახ. 2, 3).


1,1,3-ტრიჰიდროტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან ექვიმოლური თანაფარდობით რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებულ პოლიმერულ მატრიცებში ბლანტდრეკადობის აღდგენა მცირდება გამამყარებლის მასური წილის 5 მას. %-დან 7 და 10 მას. %-მდე გაზრდით (ნახ. 2; I, VI, IX). ამასთან, მსგავსი რეცეპტურის მქონე პოლიმერულ მატრიცებში მეტაკრილატური თანაპოლიმერების მოლური თანაფარდობის გაზრდით არსებითად, საშუალოდ 30-40%-ით იზრდება φ-ის მნიშვნელობა (ნახ. 2; VI-VIII, XIV).

1,1,5-ტრიჰიდროოქტაფთორპროპილმეტაკრილატის შემცველი ეპოქსიდური პოლიმერული მატრიცების შემთხვევაშიც ბლანტდრეკადობის აღდგენის უფრო მაღალი მნიშვნელობით ხასიათდება მცირე მასური წილის მქონე გამამყარებლის შემცველი მასალები (ნახ. 3; XV და XX). ბიოაქტიური კომპონენტით შემდგომი მოდიფიცირება აუმჯობესებს შესაბამისი ჰიბრიდული კომპოზიტების ზედაპირის დაზიანებული სტრუქტურის აღდგენის ფუნქციას (ნახ. 3; XVII, XVIII, XIX, XXI).





ნახაზი 2. 1,1,3-ტრიჰიდროტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტების ბლანტდრეკადობის აღდგენა, როგორც კაწვრადობის რიცხვის ფუნქცია 5.0 N მუდმივი ძალის გამოყენებისას



ნახაზი 3. 1,1,5-ტრიჰიდროქტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტების ბლანტდრეკადობის აღდგენა, როგორც კაწვრადობის რიცხვის ფუნქცია 5.0 N მუდმივი ძალის გამოყენებისას


დინამიური ხახუნის ტესტირების შედეგები

დინამიური ხახუნის კოეფიციენტი (f) განსაზღვრულ იქნა ტრიბომეტრის “Nanovea pin-on-disk” [440 ფოლადის ბურთულიანი Micro Photonics] გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ხახუნისა და ცვეთადობის პროცესების მოდელირებას საკვლევ ნიმუშზე ბურთულიანი მოწყობილობის უწყვეტ მცოცავ პირობებში.

თითოეული ტესტისთვის გამოყენებულ იქნა ახალი ბურთულა დიამეტრით 3.2 მმ. ტესტები ჩატარებულ იქნა შემდეგ პირობებში: ტემპერატურა 20±2 °C, სიჩქარე - წუთში 100 ბრუნ, ბურთულის გადაადგილების (ცოცვის) მანძილი 40 მ, რადიუსი 2.0 მმ, დატვირთვა 5.0 N. გადატრიალების (ბრუნის) რიცხვი - 2000, ტესტის ხანგრძლივობა - 20 წთ. განსაზღვრულ იქნა ნიმუშების მთელი რიგი ციკლების საშუალო დინამიური ხახუნი (ნახ. 4-5).

ნახაზზე 4 ნაჩვენებია ფთორშემცველი მეტაკრილატების ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების საშუალო დინამიური ხახუნის კოეფიციენტის


მნიშვნელობათა შედარება.



ნახაზი 4. ფთორშემცველი მეტაკრილატების ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების საშუალო დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობათა შედარება


დინამიური ხახუნის კოეფიციენტი, როგორც ტესტირებული კომპოზიტების შედგენილობის ფუნქცია, ძირითადად მცირდება მსგავსი რეცეპტურის მქონე პოლიმერულ მატრიცებში გამამყარებლის მასური წილის გაზრდით (ნახ. 4; I, VI და IX; XXII და XXVII შესაბამისად). დინამიური ხახუნის კოეფიციენტი მცირდება, თუმცა უმნიშვნელოდ XI / XIII და XV / XX კომპოზიტების შემთხვევაში. ამასთან, მსგავსი რეცეპტურის მქონე პოლიმერულ მატრიცებში მეტაკრილატური თანაპოლიმერების მოლური თანაფარდობის გაზრდით არსებითად იზრდება f-ის მნიშვნელობა (ნახ. 4, VI და XI; IX და XIII; XV და XXII; XX და XXVII; VI, XV და XXIX შესაბამისად). დინამიური ხახუნის ყველაზე მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება ფთორალკილის ყველაზე გრძელი ჯაჭვის შემცველი თანაპოლიმერის (F₁₂MA) ბაზაზე მიღებული პოლიმერული მატრიცა. დინამიური ხახუნისადმი ყველაზე კარგი მდგრადობით ხასიათდება F₄MA-AGE 1:1/10 მას. % HMDA რეცეპტურით დამზადებული პოლიმერული მატრიცა (ნახ. 4, IX).

1,1,3-ტრიჰიდროტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის შემცველი ეპოქსიდური პოლიმერული მატრიცების ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტების საშუალო დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობათა შედარებიდან ჩანს, რომ ბიოაქტიური კომპონენტით შემდგომი მოდიფიცირება უმნიშვნელოდ ზრდის შესაბამისი მასალების f-ის მნიშვნელობებს (ნახ. 5; II-V; VII-VIII; XII, XIV), რაც შეიძლება აიხსნას მათი სივრცითი სტრუქტურით. ამასთან, ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობის ძალზედ უმნიშვნელო მომატებით (0.001-0.01-ით) ხასიათდება ფთორალკილის ჯაჭვის შემცველი თანაპოლიმერების მოლური თანაფარდობის გაზრდით (7:3) მიღებული ჰიბრიდები (ნახ. 5, XIV და XII შესაბამისად).



ნახაზი 5. 1,1,3-ტრიჰიდროტეტრაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან რადიკალური

თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტების საშუალო დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობათა შედარება ასევე ძალზედ უმნიშვნელოა დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობათა მომატება საბაზისო პოლიმერულ მატრიცებთან შედარებით 1,1,5-ტრიჰიდროექსტაფთორპროპილმეტაკრილატის და ბიოაქტიური კომპონენტების ბაზაზე დამზადებული ეპოქსიდური ჰიბრიდული მასალების შემთხვევაშიც (ნახ. 6; XVI-XIX; XXI, XXIII-XXVI, XXVIII).




ნახაზი 6. 1,1,5-ტრიჰიდროექსტაფთორპროპილმეტაკრილატის ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი პოლიმერული მატრიცების და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტების საშუალო დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობათა შედარება

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად ნაჩვენებია, რომ შესწავლილ მასალებს შორის ყველაზე მცირე საშუალო დინამიური ხახუნით და შესაბამისად, ცვეთადობისადმი ყველაზე მაღალი მდგრადობით ხასიათდება ფთორალკილის ყველაზე მცირე ჯაჭვის შემცველი თანაპოლიმერის (F4MA) და ალილგლიციდოლის რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებული, გამამყარებლის ყველაზე დიდი მასური წილის (10 მას. %) შემცველი პოლიმერული მატრიცა და მის ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული კომპოზიტი (ნახ. 5; IX და X).

საექსპლუატაციო მახასიათებლების შესწავლა

დამცავი საფრების ჰიდროფობური თვისებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ზედაპირზე მიკროორგანიზმების ადჰეზიის პროცესში. განსაზღვრულ იქნა მიღებული ანტიმიკრობული დამცავი საფრების წყალშთანთქმისუნარიანობა (W_{H_2O}) გრავიმეტრიული მეთოდით. ექსპერიმენტულად დადგენილ იქნა, მიღებული ჰიბრიდული მასალები ჰიდროფობურებია და 720 საათის განმავლობაში მათი W_{H_2O} არ აღემატება 0.002-0.01 მას. %-ს.

მიღებული მასალების საექსპლუატაციო მახასიათებლების გამოსაცდელად შესწავლილ იქნა აგრეთვე მათზე არატრადიციული ფაქტორების ზემოქმედება. ფოტოქიმიური (უი და ხილული სინათლისადმი მდგრადობა) და შუქამინდისადმი (დღის სინათლისადმი, O_2 , CO_2 და სინესტისა და ჰაერის ტენისადმი მდგრადობა) მდგრადობის შესწავლით დადგენილ იქნა, რომ ერთი თვის განმავლობაში ე.წ. “შუქამინდის” მოქმედებისას არ შემჩნეულა ფირების ერთგვაროვნების, იერსახის, ფერის, ოპტიკური გამჭვირვალობის და მექანიკური თვისებების (ზედაპირის ერთგვაროვნება ბზარების წარმოქმნის გარეშე, - ვიზუალურად და მახასიათებლების განსაზღვრით) ცვლილება.



ნახაზი 7. ტრიბოლოგიური ტესტირების შემდგომ პოლიმერული ჰიბრიდული კომპოზიტების ზედაპირის მიკროსტრუქტურების გამოკვლევა SEM მიკროსტრუქტურები 50 და 500 μm -ზე)

დასკვნები:

- ახალი ანტიმიკრობული/ფუნგიციდური ჰიბრიდული მასალების/დამცავი საფრებისთვის ბიოაქტიურ კომპონენტად თეორიული და ექსპერიმენტული ბიოსკრინინგით შერჩეულ იქნა მოლეკულაში მეტალოცენური [ბის(η⁵-ციკლოპენტადიენილ)რკინა] და კარბოციკლური (ტრიციკლო-[3.3.1.1^{3,7}]დეკანი) სტრუქტურების შემცველი ბიოაქტიური ნაერთები მათი სტაბილურობისა და პოლიმერულ მატრიცასთან კოვალენტური, დიპოლ-დიპოლური და წყალბადური ბმების წარმოქმნის უნარის გათვალისწინებით;

- ახალი ტენმედეგი და მექანიკურად მტკიცე ფთორშემცველი პოლიმერების დასასინთეზებლად საწყისი მონომერებად შერჩეულ იქნა შედარებით ხელმისაწვდომი და მაღალი რეაქციისუნარიანობის მქონე პერფთორალკილმეთაკრილატები (F_nMA) და მათი ალილგლიციდოლთან რადიკალური თანაპოლიმერიზაციით მიღებულ იქნა ფთორალკილის და ეპოქსიდური გვერდითი ჯგუფების ერთდროულად შემცველი ახალი, პოლიმერული მატრიცები; მოდიცირებულ პოლიმერულ მატრიცებზე შერჩეული ბიოაქტიური ნაერთების დამატებით მიღებულ იქნა ხანმოკლე მოქმედების (“Short term” action), ნაკეთობების ზედაპირიდან მოხსნის უნარის მქონე ჰიბრიდული ანტიმიკრობული საფრები;

- ჩატარებულ იქნა პოლიდიმეტილჰიდრიდსილოქსანთან (PDMHS) ალილგლიციდილის ეთერის ურთიერთქმედება და განხორციელებულ იქნა მიღებული პოლიმერული მატრიცის ქიმიური მოდიფიკაცია მთავარ ჯაჭვში კოვალენტურად ბმული ბიოაქტიური ფრაგმენტების შეყვანით; შედეგად მათ ბაზაზე შემუშავებულ იქნა ხანმოკლე მოქმედების (“Short term” action) ანტიმიკრობული საფრები;

- შესწავლილია მიზნობრივი ჰიბრიდული კომპოზიტებისა და მასალების თვისებებზე მათი დამზადების რეცეპტორული და ტექნოლოგიური ფაქტორების (კომპონენტთა თანაფარდობა, დამზადების და გამყარების რეჟიმი), ბიოაქტიური ნაერთების ბუნებისა და სტრუქტურის გავლენა;

- შესწავლილია მიღებული თანაპოლიმერებისა და მათ ბაზაზე დამზადებული პოლიმერული ჰიბრიდული მასალების თერმოქანგვითი მდგრადობა და ფაზური გადასვლების ტემპერატურები;

- განსაზღვრულია მიღებული პოლიმერული მატრიცებისა და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული მასალების ტრიბოლოგიური (დინამიური ხახუნი, კაწვრადობა, ცვეთადობა) მახასიათებლები;

- შესწავლილია მიღებული პოლიმერული მატრიცებისა და მათ ბაზაზე დამზადებული ჰიბრიდული მასალების ზედაპირის მორფოლოგია ფოტო- და თერმულ დაბერებამდე და დაბერების შემდეგ.

- დადგენილია მათი ფოტოქიმიური (უი და ხილული სინათლისადმი მდგრადობა), თერმოდაბერებისადმი (40- 60⁰ ჰაერზე) და შუქამინდისადმი (დღის სინათლისადმი, O₂, CO₂ და სინესტისადმი მდგრადობა) მდგრადობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. B. Tribollet, *Mater. & Corros.*, **54**, 7, 527 (2003).

2. G.T. Howard, *Int. Bioterior. & Biodegr.*, **49**, 4, 242 (2002).
3. Gu Ji-Dong, *Int. Bioterior. & Biodegr.*, **52**, 1, 69 (2003).
4. H.A. Videla, *Int. Biodeterior. & Biodegr.*, **49**, 259 (2002).
5. N. Lekishvili, R. Gigauri, M. Rusia, M. Kezherashvili, Kh. Barbakadze, G. Lekishvili, B. Arziani, 2nd International Caucasian Symposium on Polymers and Advanced Materials, 21, Tbilisi, Georgia (2010).
6. P. Gomez-Romero, C. Sanchez, *Functional Hybrid Materials*, Wiley-VCH, Weinheim, 2006.
7. W. H. Miller, Jr., H. M. Schipper, J. S. Lee, J. Singer, S. Waxman. *J. Cancer Res*, **62**, 14, 3893 (2002).
8. N. Lekishvili, M. Rusia, Rus. Gigauri, L. Arabuli, Kh. Barbakadze, I. Didbaridze, M. Samkharadze, *Arsenic and Stibium Advanced Compounds with Specific Properties*. Universali Press, Tbilisi, Georgia, 2014.
9. R. Gigauri, G. Chachava, M. Gverdsiteli, I. Laperashvili, *Proceedings of the Academy of Sciences of Georgia. Seria of Chemistry*, **33**, 4, 395 (2007).
10. W. Brostow, M. Gakhutishvili, Rus. Gigauri, Sh. Japaridze, N. Lekishvili, *Chem. Eng. J. (US)*, **159**, 24 (2010).
11. K.P. Menard, *Performance of Plastics*, Ch.6, (Ed. W. Brostow), Hanser, Munich - Cincinnati, 2000.
12. Kh. Barbakadze, W. Brostow, T. Datashvili, N. Hnatchuk, N. Lekishvili, *Wear*, **394-395**, 228 (2018).
13. W. Brostow, V. Kovacevic, D. Vrsaljko, J. Whitworth, *J. Mater. Educ.*, **32**, 5-6, 273 (2010).
14. J.L. Hobman, L.C. Crossman, *J. Med. Microbiol.*, **64**, 471 (2014).
15. A. Pal, S. Saha, S.K. Maji, M. Kundu, A. Kundu, *Adv. Mat. Lett.*, **3**, 177 (2012).
16. V. Jadhav, S. Sachar, S. Chandra, D. Bahadur, P. Bhatt. *J. Nanosci. Nanotechnol.*, **16**, 1 (2016).
17. A. Subastri, V. Arun, P. Sharma, E. Preedia babu, A. Suyavaran, S. Nithyananthan, G.M. Alshammari, B. Aristatile, V. Dharuman, Ch. Thirunavukkarasu, *Chemico-Biological Interactions* (2017), <https://doi.org/10.1016/j.cbi.2017.12.025>
18. Yu. Savelyev, A. Grekov, V. Veselov, Ukraine *Patent* 14952A, (1997).
19. Yu. Savelyev, *Handbook of Condensation Thermoplastic Elastomers*, Willey-VCH Verlag GmbH & Co., KgaA, 2005.
20. VC 2007 Wiley Periodicals, Inc. *J. Polym. Sci. Part B: Polym. Phys.* **45**, 627 (2007).
21. W. Brostow, J.-L. Deborde, M. Jaklewicz, P. Olszynski, *J. Mater. Educ.*, **24**, 4-6, 119 (2003)

*) მასალების ტრიბოლოგიური თვისებების და ზედაპირის მორფოლოგიის ტესტირება ჩატარდა ნორდ ტეხასის უნივერსიტეტის (აშშ) ავანგარდული ავანგარდული პოლიმერული მასალების ლაბორატორიასთან (LAPOM, პროფ. ვიტოლდ ბროსტოუ) ერთობლივად.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
---	--	--	--

	საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				

4.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ნოდარ ლეკიშვილი მაია რუსია	არაორგანული ქიმია კითხვებსა და პასუხებში ISBN:978-9941-26-250-0	თბილისი, „უნივერსალი“	160

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წიგნში კომპაქტურად არის განხილული კითხვები და შებამისი პასუხები ყველა მნიშვნელოვანი s, p, d და f ელემენტის და მათი ძირითადი ნაერთების ქიმიიდან. ის მოიცავს როგორც ელემენტების ატომების და ნაერთების აღნაგობას, ისე ნივთიერებათა მიღების მეთოდებს, ქიმიურ თვისებებს, მათ როლს ადამიანის ორგანიზმში და თანამედროვე ტექნოლოგიებში მათი გამოყენების შესაძლებლობებს და მნიშვნელოვან სფეროებს.

წიგნში მოტანილია საინტერესო ინფორმაცია ბევრი მნიშვნელოვანი აღმოჩენის და მეცნიერის, მათ შორის ქართველი მეცნიერების შესახებ, აგრეთვე ფერადი ფოტო და სხვადასხვა საილუსტრაციო მასალა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განხილული საკითხების თანამოდროვე მიდგომებით განხილვას და გადმოცემის სისადავეს. გამოყენებულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული წყარო, რაც ზრდის მის სანდოობას.

წიგნი შედგენილია უნივერსიტეტების ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით და გამიზნულია არაორგანულ ქიმიაში სტუდენტთა ცოდნის თვითშემოწმებისათვის. ის სასარგებლო იქნება საბუნებისმეტყველო დარგების არაქიმიური სპეციალობის სტუდენტებისათვის, აგრეთვე საჯარო და კერძო სკოლების ქიმიის მასწავლებლებისათვის.

წიგნის შინაარსი

წინასიტყვაობა	9
IA ჯგუფის ელემენტები – არალითონები	11
წყალბადი	11
VIIA ჯგუფის ელემენტები. ჰალოგენები	19
VIA ჯგუფის ელემენტები	29
1. ჟანგბადი	29
2. გოგირდი. სელენის ქვეჯგუფი	34
VA ჯგუფის ელემენტები	39
1. აზოტი. ფოსფორი	39
2. დარიშხანის ქვეჯგუფი	50
IVA ჯგუფის ელემენტები	56
ნახშირბადი	56
სილიციუმი	65
გერმანიუმის ქვეჯგუფი	69
IIIA ჯგუფის ელემენტები	73
ბორი	73
ალუმინი	77
IIA ჯგუფის ელემენტები. ტუტემიწათა მეტალები	80
IA ჯგუფის ელემენტები. ტუტე მეტალები	87
VIIIA ჯგუფი – კეთილშობილი აირები	91
გარდამავალი ელემენტები	96
IB ჯგუფის ელემენტები. სპილენძი, ვერცხლი, ოქრო	98
IIIB ჯგუფის ელემენტები. თუთია, კადმიუმი, ვერცხლისწყალი	106
IVB ჯგუფის ელემენტები. ტიტანი	110
VB ჯგუფის ელემენტები. ვანადიუმი	112
VIB ჯგუფის ელემენტები. ქრომი	116
VIIIB ჯგუფის ელემენტები. მანგანუმი	121
VIIIB ჯგუფის ელემენტები. რკინა, კობალტი, ნიკელი	129
პლატინის ჯგუფის ელემენტები	146
f-ელემენტები. ლანთანოიდები და აქტინოიდები	150
ლიტერატურა	157

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1					
2					
3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ- წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემ-ლობა	გვერდ- ბის რაოდენ- ობა
1	Khatuna Barbakadze, Witold Brostow, Tea Datashvili, Nathalie Hnatchuk, Nodar Lekishvili	Antibiocorrosive epoxy-based coatings with low friction and high scratch resistance (დაბალი დინამიური ხახუნისა და კაწვრადობისადმი მაღალმდგრადი ანტიბიოკორო- ზიული დამცავი საფრები ეპოქსიდების ბაზაზე) http://doi.org/10.1016/j.wear.2017.08.006	WEAR, 2018, vol. 394–395 IF=2.96	Elsevier (www.elsevier.com/locate/wear)	8 (228– 235) ორმაგ სვეტში
2	Rus. Gigauri, L. Sakhvadze, Kh.Barbakadze, N. Lekishvili, M. Samkharadze, D. Nikolaishvili, V. Trapaidze	Strategical Compounds and Products based on Poor Ores and Tailings of Manganese Waste (strategiuli naerTebi da produqtebi manganumis sabados Raribi madnebis da kudebis bazaze) ISSN: 2328–2827 (“Online”)	International Journal of Applied Chemical Sciences Research v.6, 1,2018,pp.1-12, http://ijacsr.com/Curre nt%20Issues.php IF =0.38 (RG)		12
3	L. Arabuli, L. Silaghi-Dumitrescu E. Nikoleisvili	Dihydrophenarsazine-based Arsenic- Thio Ethers – Preparation and Stabilization ISSN: 2249-1848)	Intern. J. Pharm., 2018, 8, 1; IF =0.45	Pharma Scolars Library, USA	4 (414- 147)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ხათუნა ბარბაქაძე, ვიტოლდ ბროსტოუ, თეა დათაშვილი, ნატალი ჰნატჩუკი, ნოდარ ლეკიშვილი. დაბალი დინამიური ხახუნისა და კაწვრადობისადმი მაღალმდგრადი ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები ეპოქსიდების ბაზაზე, **WEAR**, 2018, **394–395**, **228–235**; <http://doi.org/10.1016/j.wear.2017.08.006>. www.elsevier.com/locate/wear

სტატიაში განხილულია არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიტები და ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები სილიციუმის ატომებთან ფუნქციური ჯგუფების შემცველი სილიციუმორგანული ოლიგომერებით, სილიციუმორგანული დიეპოქსიდით (SODCl, EODMS, HMVOS, BHODMS) და ბიოაქტიური კოორდინაციული ნაერთებით მოდიფიცირებული სამრეწველო ორგანული ეპოქსიდის ბაზაზე. დიფერენციულ-მასკანირებელი კალორიმეტრიის, დიფერენციულ-თერმული და თერმოგრავიმეტრიული ანალიზის მეთოდებით შესწავლილია მიღებული ჰიბრიდული კომპოზიტების თერმოფიზიკური თვისებები. დმკ-ის მრუდებზე არ ჩანს კრისტალიზაციისთვის დამახასიათებელი ეგზოთერმული პიკი, რაც ადასტურებს, რომ მიღებული ანტიმიკრობული საფრები ამორფულია. მიღებულ დსკ მრუდებზე ენდოთერმული პიკები შეესაბამება ტესტირებული ნიმუშების გამინების ტემპერატურას (T_g). თითქმის ყველა ჰიბრიდული საფარი ოპტიკურად გამჭვირვალეა სინათლის ხილულ უბანში და ხასიათდება გამინების ტემპერატურული ინტერვალით 49.2-58.0°C, რაც საყურადღებოა განსაკუთრებით სამუზეუმო ექსპონატებისთვის გამინებული ანტიბიოკოროზიული საფრების დასამზადებლად. ზემოაღნიშნული საფრების ფაზური გადასვლების (T) ანალიზმა აჩვენა, რომ მათი პოლიფუნქციური ოლიგოსილოქსანებით მოდიფიკაცია გადასვლის ტემპერატურას –45.5°C-

დან -62.3°C -მდე ამცირებს და, შესაბამისად, აუმჯობესებს მათ ელასტიურობას. აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიურად აქტიური მეტალშემცველი კოორდინაციული ნაერთების ანტიმიკრობული კომპოზიციისთვის გამოხუნული ნარევისათვის დამატება ზრდის ამორფული ფაზის მდგრადობას დაბალ ტემპერატურაზე.

როგორც თერმოგრაფიმეტრიული შედეგების ანალიზიდან ჩანს, მოდიფიცირებული ეპოქსიდური ჰიბრიდების საწყისი დესტრუქციის ტემპერატურა და დესტრუქციის მაქსიმალური ტემპერატურა (T_{max}) არამოდიფიცირებულ ეპოქსიდთან შედარებით იზრდება. ამასთან, მოდიფიკატორის რაოდენობის გაზრდით ჰიბრიდული ანტიმიკრობული საფრების თერმული დესტრუქციისადმი მდგრადობა იზრდება. ასე, მაგალითად, არამოდიფიცირებული ეპოქსიდური მატრიცა მდგრადია 205°C -მდე, ხოლო მასის კლება შეადგენს 5.4% -ს. 220°C -ზე მასის კლება იზრდება 8% -მდე. სუფთა ეპოქსიდური მატრიცის ინტენსიური დესტრუქციის პროცესს ადგილი აქვს $230-440^{\circ}\text{C}$ ტემპერატურულ ინტერვალში (მასის კლება – 78%). მოდიფიცირებული ეპოქსიდური ჰიბრიდების მასის კლება $300-370^{\circ}\text{C}$ ტემპერატურულ ინტერვალში შეადგენს $5-10\%$ -ს. მათი ინტენსიური დესტრუქციის პროცესი (მასის კლება – დაახლ. $65-80\%$) შეინიშნება $500-570^{\circ}\text{C}$ ტემპერატურულ ინტერვალში.

შესწავლილია მიღებული ანტიმიკრობული საფრების ტრიბოლოგიური თვისებები. დადგენილია, რომ მათი ტრიბოლოგიური ქცევა დაკავშირებულია შესაბამისი კომპოზიციების შედგენილობაზე. განსაზღვრულ იქნა ნიმუშების მცოცავი ცვეთადობა (იმავე ჭრილის მრავალრიცხოვანი კაწვრადობის მეშვეობით მუდმივი ძალის (5.0 N) გამოყენების პირობებში. მრავალრიცხოვანი კაწვრადობის ტესტებიდან მიღებულ იქნა შედეგადობის სიღრმის მაქსიმუმისა (R_p) და ნაშთის სიღრმის (R_h) დიაგრამები, როგორც განხორციელებულ ტესტთა რიცხვის ფუნქცია. დადგენილ იქნა, რომ მოდიფიკაციით უმჯობესდება კომპოზიტების მიკროკაწვრადობით მყისიერი დეფორმაციისადმი მდგრადობა. შედეგადობის სიღრმის მაქსიმუმის სიდიდე მნიშვნელოვნად დაბალია მოდიფიცირებული პოლიმერული მატრიცების შემთხვევაში არამოდიფიცირებულ ეპოქსიდთან შედარებით. ნაჩვენებია, რომ კაწვრადობის რიცხვის გაზრდასთან ერთად ნაშთის სიღრმის საწყისი უმნიშვნელო მომატების შემდეგ, პოლიმერული მასალების ნაშთის სიღრმის მნიშვნელობა უცვლელი. ჩატერებულ იქნა აგრეთვე ზოგიერთი საკვლევი მასალის კაწვრადობის პროგრესული ტესტირება. ნაჩვენებია, რომ სილიციუმ-ორგანული ოლიგომერებით მოდიფიცირებული ჰიბრიდული კომპოზიტები ხასიათდება ნაშთის სიღრმის, როგორც გამოყენებული ცვალებადი (ზრდადი დატვირთვა $1.0-30.0\text{ N}$) ძალის ფუნქციის, ყველაზე ზედაპირული მნიშვნელობით არამოდიფიცირებულ ეპოქსიდთან შედარებით. ამგვარად, მოდიფიკატორის ტიპისა და მისი მასური წილისგან დამოკიდებულებით კომპოზიტების კაწვრადობისადმი მდგრადობა უმჯობესდება.

განსაზღვრულ იქნა დინამიური ხახუნის კოეფიციენტი (f) (ტრიბომეტრის “Nanovea pin-on-disk” გამოყენებით). დადგენილ იქნა, რომ არამოდიფიცირებული ეპოქსიდისთვის დინამიური ხახუნის კოეფიციენტი ტესტირების საწყის ეტაპზე იზრდება უცვლელი სტადიის მიღწევამდე, მაშინ როდესაც, მოდიფიცირებული ეპოქსიდური კომპოზიტების დინამიური ხახუნის კოეფიციენტი მთელი ტესტის განმავლობაში არ იცვლება. სამრეწველო პოლიეპოქსიდების მოდიფიკაციით მიღებული ნიმუშებისთვის ზემოაღნიშნული მაჩვენებელი, ძირითადად, მცირდება და მოდიფიკატორის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად კვლავ ინარჩუნებს კლების ტენდენციას.

მიღებული დამცავი საფრების ზედაპირის მიკროსტრუქტურების გამოკვლევა აჩვენებს, რომ მოდიფიკატორის შემცველობის გაზრდა იწვევს საკვლევი კომპოზიტების უფრო მოქნილ ქცევას, არ შეიმჩნევა ნაპრალები და ცვეთადობის კვალი ძალიან უმნიშვნელოა. ამგვარად, ანალოგიური ტიპის მოდიფიკაცია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი დამცავი საფრების მექანიკური და ტრიბოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად.

საკვლევი პოლიმერული კომპოზიტები ოპტიკურად გამჭვირვალე, გლუვი, ვიზუალურად ჰომოგენურებია და ხასიათდება სხვადასხვა ზედაპირზე კარგი ადჰეზიის უნარით. აქვთ თერმოჰანგვითი და ფოტოქიმიური დაბერების მიმართ მაღალი მდგრადობა. მიღებული საფრების ძირითადი თვისებები (ჰომოგენურობა, სიბლანტე, ოპტიკური გამჭვირვალობა, პოლიმერული მატრიცის კომპონენტების ბიოაქტიურ ნაერთებთან შეთავსებადობა, ადჰეზია სხვადასხვა ზედაპირებზე (პლასტმასა, ხე, ადჰეზია, ტყავი), ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები (თერმული და მექანიკური მდგრადობა, აგრეთვე მდგრადობა უი და ხილული გამოსხივებისა და სინესტისადმი) უმჯობესია ანალოგიური დანიშნულების ანტიმიკრობული საფრების თვისებებთან შედარებით.

2. რუს. გიგაური, ლ. სახვაძე, ხ. ბარბაქაძე, ნ. ლეკვიანი, მ. სამხარაძე, დ. ნიკოლაიშვილი, ვ. ტრაპაიძე. სტრატეგიული ნაერთები და პროდუქტები მანგანუმის საბადოს ღარიბი მადნების და კუდების ბაზაზე. გამოყენებითი ქიმიის მეცნიერული კვლევების საერთაშორისო ჟურნალი (International Journal of Applied Chemical Sciences Research) ტ.6, №1, მარტი 2018, გვ. 1-12, ISSN: 2328-2827 (“ონლაინ”, <http://ijacsr.com/Current%20Issues.php>)

სტატიაში აღწერილია ღარიბი მადნებიდან და წარმოების ნარჩენებიდან მანგანუმის აღდგენის პროცესის ხანგრძლივობის შემცირებისა და გაიაფების მიზნით გამოყენებული ავტოტროფული თიობაქტერიის – *Thiobacillus ferrooxidans* მოქმედებით ჭიათურის მანგანუმის მადნის ღარიბი საბადოდან და კუდებიდან სუფთა მანგანუმის მიღების ლაბორატორიული ტექნოლოგია და მის ბაზაზე სტრატეგიული ნაერთების მიღების შესაძლებლობა. პროცესი კომბინირებულია. *Thiobacillus ferrooxidans* ჟანგავს პირიტის $FeSO_4 + H_2SO_4$ -ის წარმოქმნით (pH – 2,5). აქვე წარმოიქმნება ბაქტერიების მეტაბოლიზმის პროდუქტი – მჟაუნმჟავა. წარმოქმნილი პროდუქტები ითვლებიან მანგანუმის დიოქსიდის ძლიერ აღმდგენლებად, ხოლო გოგირდმჟავა მანგანუმის კარბონატების გამხსნელად.

პროცესზე მოქმედი გარემო პირობების გავლენის შესწავლით დადგენილია, რომ ის ეფექტურად მიმდინარეობს ჰაერის უხვი ნაკადის მიწოდების პირობებში; მადნის მარცვლების სისქე 0,15მმ; pH – 2,5; მყარი ფაზა/თხევადი ფაზა = 1:5, კულტურის ტიტრი 108-109 უჯრ/მლ. ბაქტერიების ზრდისა და მისი ჟანგვითი ფუნქციის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ბაქტერიული მდგრადობა ხსნარში გოგირდმჟავასა და მძიმე მეტალის კონცენტრაციის მიმართ.

დადგენილია, რომ შტამი 348, 341 - *Thiobacillus ferrooxidans* ადვილად ეგუება ხსნარში 20-25 გ/ლ H_2SO_4 . ხოლო მათი ფიზიოლოგიური თვისებების შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ისინი კულტურალურ ხსნარში გამოყოფენ მჟაუნმჟავას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება $Mn(IV)$ აღსადგენად. რეაქციის პროდუქტებია მანგანუმის სულფატი (დისოცირებულ მდგომარეობაში) და რკინის(II) ჰიდრატი, რომელიც ნალექშია (აღნიშნულ pH-ზე). მიღებული ნალექის გაფილტვრის შედეგად ხსნარში რჩება ორვალენტიანი მანგანუმის სულფატი, რომლის ელექტროლიზით მიიღება მეტალური მანგანუმი. მიღებულია კოორდინაციული ნაერთები სპეციფიკური თვისებებით.

3. ლ. არაბული, სილაგი-დუმიტრესკუ და ე. ნიკოლეიშვილი. დიჰიდროფენარსაზინის ბაზაზე დარიშხანის თიოფარმ. საერთაშორ. ჟურნალი (Intern. J. Pharm. ISSN: 2249-1848), IF=0.45), 2018, გ, 1, 144-147.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ მიუხედავად დარიშხანის არაორგანული და ორგანული ნაერთების მაღალი ტოქსიურობისა, მას აქვს სამედიცინო გამოყენების ეფექტური შესაძლებლობა სიმსივნის სხვადასხვა სახეობების სამკურნალოდ. ნაჩვენებია ადამსიტის გარდაქმნის შესაძლებლობა სტაბილურ და ნაკლებტოქსიურ ნაერთებად და შემდგომ მათი, როგორც ანტიმიკრობულ აგენტებად გამოყენება, ასევე მათ ბაზაზე კიდევ უფრო სტაბილური და დაბალტოქსიური კოორდინაციული ნაერთების მიღება. აღწერილია ადამსიტის As-Cl აქტიური ცენტრის სტაბილიზაცია თიოფენოლის და მერკაპტობენზოთიაზოლის მეშვეობით ახალი As-S-Ph და As-S-MBT (MBT - მერკაპტობენზოთიაზოლი) ბმის წარმოქმნით, ხოლო შემდგომ მათ ბაზაზე Pd(II)-ს კომპლექსური ნაერთების მიღება. ახალი სინთეზირებული დარიშხანორგანული ნაერთები არის მყარი, უსუნო და არააქროლადი ნივთიერებები. მათი მოლეკულური შედგენილობა და სტრუქტურა დადგენილია MS, UV-vis სპექტროსკოპული და ბმრ (1H , ^{13}C) ანალიზის მეთოდებით. განსაზღვრულია მიღებული ნაერთების გამოყენების შესაძლებლობა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში *

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	---------------------	------------------------------------

1	Kh. Barbakadze, N. Lekishvili	Antimicrobial hybrid materials and strategies of their targeted modification.	4-5 მაისი, 2018 თბილისი,საქართველო
2	Kh. Barbakadze, N. Lekishvili G. Lekishvili, B. Arziani, N. Lekishvili, N. Hnatchuk, W. Brostow	Development and properties of antimicrobial hybrid composite films to control biocorrosion processes	13-15 სექტემბერი თბილისი, საქართველო
3	N. Lekishvili, Rus. Gigauri, Kh. Barbakadze, D. Nikoleishvili, V. Trapaidze	Secondary resources of Georgia for creation of antimicrobial compounds and composites	4-5 მაისი, 2018 თბილისი,საქართველო
4	Kh. Barbakadze, G. Lekishvili, B. Arziani, N. Lekishvili, N. Hnatchuk, W. Brostow	Tribological and operational properties and thermostability of the antimicrobial coatings based on nano composites	4-5 მაისი, 2018 თბილისი,საქართველო
5	Mariam Kobiashvili, Khatuna Barbakadze, Nodar Lekishvili	Impact of modification on the thermal and mechanical behavior of antimicrobial hybrid composites	16-17 ნოემბერი, 2018 თბილისი, საქართველო

***) ყველა სამეცნიერო ფორუმს აქვს საერთაშორისო ფორუმის სტატუსი**

მოხსენების ანოტაცია

(საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

პროექტის ხელმძღვანელების შენიშვნა: ვინაიდან გამოქვეყნდა მხოლოდ მოხსენებების თეზისები და არა მოხსენებები, ანგარიშს ვურთავთ მათ ანოტაციებს ქართულ ენაზე:

1. ხ. ბარბაკაძე, ნ. ლეკიშვილი. ანტიმიკრობული ჰიბრიდული მასალები და მათი მიზნობრივი მოდიფიკაციის სტრატეგია

საერთაშორისო მინი-სიმპოზიუმი „ბიოაქტიური ნაერთები, ანტიმიკრობული და ბიოსამედიცინო მასალები ადამიანის და გარემოს დასაცავად.“ მაისი, 4-5, 2018, თბილისი, საქართველო. თეზისების წიგნი, გვ. 17. ISBN: 978-9941-13-699-3 (პდფ). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა („ონლაინ“; www.tsu.press ან კონფერენციის ვებ გვერდი: ims.tsu.ge).

პათოგენური მიკროორგანიზმების მოქმედება ადამიანისა და გარემოსთვის წარმოადგენს გლობალურ საფრთხეს. ეს მიკროორგანიზმები ჩნდებიან ბუნებრივ სისტემებში და წარმოქმნიან რთული ფორმის აგრეგატებს სხვადასხვა ბუნებრივი და სინთეზური ნაკეთობების ზედაპირებზე და იწვევენ მათ შეუქცევად დესტრუქციას და არაკონტროლირებად ბიოდაშლას, რაც იწვევს მრეწველობისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანაკარგებს და უქმნიან კულტურულ მემკვიდრეობას (ისტორიული ძეგლები, არქეოლოგიური ნიმუშები, სამუზეუმო ექსპონატები, და სხვ.) [1, 2].

ბიოდესტრუქციის დასაბრუნებლად მნიშვნელოვანი ვარიანტია პოლიმერების ბაზაზე ჰიბრიდული მასალების ფორმირება, თითოეული კომპონენტის საუკეთესო თვისებების აღება, მათი ნაკლოვანებების შემცირება და თავიდან აცილება და სინერგეტიკული ეფექტის მიღწევა. დაბალი კაწვრადობა და ჩვეთისადმი მდგრადობა აგრეთვე გარემოს დამანგრეველი ზემოქმედება აფერხებს პოლიმერული მასალების ბევრ მნიშვნელოვან გამოყენებას და გრძელვადიან მწარმოებლურობას [3, 4].

ამრიგად, მათი ფიზიკური და მექანიკური თვისებების (იზოთერმული დაბერების, მექანიკური სიმტკიცე, ტრიბოლოგიური მახასიათებლები და სხვ.) ექსპლუატაციის პირობებში შესაძლებელია გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა ჰიბრიდული მასალების და ფუნქციური საფრების, წებოების, ადჰეზივების, მემრანების, ოპტიკის, თბური და მზის ბატარეების, სენსორების, სამედიცინო პროდუქციის და მასალების ფართოდ გამოყენება და ა.შ. [4].

ქვემოთ მოცემული კვლევის ძირითად კონცეპციას წარმოადგენს ბიოაქტიური ჰიბრიდული მასალების შექმნა ფართო ბიოდესტრუქტორების წინააღმდეგ.

ანტიმიკრობული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიტების და მასალების შესაქმნელად საბაზო პოლიმერულ მატრიცებად გამოყენებულია პოლიურეთანები და ორგანული პოლიეპოქსიდები. სილიციუმორგანული ოლიგომერები ფუნქციური ჯგუფებით სილიციუმის ატომებთან მოქმედებენ რა როგორც ფლასტიფიკატორები და მოდიფიკატორები, აუმჯობესებენ მიღებული პოლიმერული კომპოზიტების და საფრების ელასტიურობას, თერმომდგრადობას და ჰიდროფობურობას, ასევე

წარმოქმნიან მათ ჰომოგენურ ფირებს. ბიოაქტიურ კომპონენტებად შერეულია ზოგიერთი ბიოგენური მეტალების (Fe, Co, Ni) კოორდინაციული ნაერთები ორგანული და მეტალორგანული ლიგანდების ბაზაზე [5].

ჰიბრიდების ტრიბოლოგიური თვისებები დამოკიდებულია მათ შედგენილობაზე. ნიმუშების წანაცვლებითი ცვეთა განსაზღვრულ იქნა ნიმუშების მცოცავი ცვეთადობა (SWD) განსაზღვრულ იქნა იმავე ჭრილის მრავალრიცხოვანი კაწვრადობის მეშვეობით მუდმივი ძალის გამოყენების პირობებში ხელსაწყოზე - Micro Scratch Tester.

მოდულიკაცია უმთავრესად იწვევს, სუფთა პოლიმერებთან შედარებით, წანაცვლებითი ცვეთის შემცირებას, აუმჯობესებს გაკაწრული ადგილების ბლანტირებად აღდგენას (75-90%), ამცირებს დინამიურ ხახუნს, ასევე ზრდის ჰიდროფობურობას. დატვირთვის წრფივი ზრდისას (1.0N-30.0N) განხორციელებული კაწვრადობის ტესტირებისას ნაჩვენებია, რომ საკვლევი მასალების კაწვრისადმი წინააღმდეგობა უმჯობესდება, რაც დამოკიდებულია მოდიფიკატორების ტიპსა და რაოდენობაზე. ზედაპირების მორფოლოგიის შესწავლამ დაადასტურა მიღებული შედეგები. ამრიგად, მოდიფიკაციით მიღწეულ იქნა მიღებული კომპოზიტების და საფრების დაბალი ხახუნი და კაწვრადობისადმი შედარებით მაღალი მდგრადობა.

შექმნილი ანტიმიკრობული პოლიმერული მასალებმა გამოავლინა გაუმჯობესებული მექანიკური, ტრიბოლოგიური და თერმოფიზიკური თვისებები მათი ხანგრძლივი ექსპლოატაციის, რაც დაზოგავს მატერიალურ რესურსებს. ამავე დროს, ჰიბრიდული მასალების საექსპლუატაციო მახასიათებლებსა და ზედაპირის მორფოლოგიაზე მოქმედი არასასურველი ფაქტორების თავიდან აცილება შეამცირებს ბიოდესტრუქტორებით გამოწვეულ ბიოდაშლის რისკს და ეფექტურად შეაფერხებს მასალების ზედაპირზე მავნე მიკროორგანიზმების ზრდას.

ამრიგად, განვითარებულ ანტიმიკრობულ, ანტიმიკოტიკურ მულტი-ვექტორული და პირდაპირი მოქმედების ჰიბრიდულ საფრებს აქვთ რეალური პერსპექტივა სინთეზური და ბუნებრივი მასალების დასაცავად ბიოგაუარესებისა და არაკონტროლირებადი ბიოდაშლისაგან, ასევე ადამიანის, კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დასაცავად.

ლიტერატურა:

1. J.-D. Gu, Microbiological deterioration and degradation of synthetic polymeric materials: recent research advances, *Internat. Biodeterior. & Biodegr.*, 2003, 52, 69-91.
2. European Commission. Preserving our heritage, improving our environment, 2009, 248.
3. Y. Yamamoto, T. Takashima, Friction and wear of water lubricated PEEK and PPS sliding contacts, *Wear*, 2002, 253, 820-826.
4. R. Gómez-Romero, C. Sanchez, Hybrid materials, functional applications: An introduction. In: Functional hybrid materials. P. Gómez-Romero, C. Sanchez (Eds.), Wiley-VCH, Weinheim/Bergstrasse, 2004, 1-14.
5. N. Lekishvili, Kh. Barbakadze, G. Lekishvili. Novel ferrocene derivatives with polycyclic spatial groups: synthesis, study and application. *Asian. J. Chem.*(India), 2014, 26, 5 1315-1317.

2. ნ. ლეკიშვილი, ხ. ბარბაკაძე, ბ. არზიანი, გ. ლეკიშვილი, ვ. ბროსტოუ, ნ. ჰნატჩუკ. ანტიმიკრობული კომპოზიტური ფირების განვითარება და თვისებები ბიოკოროზიული პროცესების სამართავად.

პოლიქარ-26. მსოფლიო ფორუმი ავანგარდულ მასალებზე (World Forum on Advanced Materials). 13-15, სექტემბერი, თბილისი, საქართველო. აბსტრაქტების წიგნი, გვ. 85.

ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშის (ისტორიული მონუმენტები, არქიტექტორული ნიმუშები, სამუზეუმო ექსპონატები) დაზიანება არის დაბერების პროცესის, მიკრობული დაბინძურების, გარემო ფაქტორების და რესტავრაციის არასწორი პროცედურების შედეგი. ამრიგად, ახალი ეფექტური ჰიბრიდული მასალების განვითარება და რესტავრაციის მწარმოებლურობის შემდგომი გაუმჯობესება სრულყოფს ბიოკოროზიული პროცესების კონტროლს და შედეგად, იწვევს კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დაცვის სფეროებში მოღვაწე მეცნიერთა მნიშვნელოვან დაინტერესებას.

ანტიმიკრობული ჰიბრიდული მასალების შესაქმნელად გამოყენებულ იქნა სამრეწველო, სილიციუმ-და ფთორორგანული მატრიცები გვერდითი ეპოქსიდური ჯგუფებით. პოლიორგანოსილოქსანები

სილიციუმის ატომებთან კიდურა ფუნქციური ჯგუფებით, როგორც პლასტიფიკატორები, გამოყენებულ იქნა ელასტიურობის, თერმომდგრადობის, ჰიდროფობურობის ჰომოგენური ფირების ფორმირების და სხვადასხვა სუბსტრატების ზედაპირზე ადჰეზიის გასაუმჯობესებლად. ბიოაქტიურ კომპონენტებად გამოვიყენეთ ბიოგენური მეტალების ნაწილი და სუბმიკრო ოქსიდები და მეტალორგანული და კარბოციკლური ფრაგმენტების შემცველი კოორდინაციული ნაერთები.

დსკ გაზომვები განხორციელებულ იქნა დიფერენციულ მასკანირებულ კალორიმეტრზე DSC 200 მოდელის ნეჩი, სელბი, (Netzsch, Selb, Germany) გერმანია. ყველა ტესტი ჩატარდა მშრალი აზოტის არეში - 100°C-დან +300°C-მდე ტემპერატურულ ინტერვალში 5°C/წუთი გაცხელების სიჩქარით. დიფერენციულ მასკანირებელი კალორიმეტრიული ანალიზით ნაჩვენებია იქნა, რომ ჰიბრიდული მასალების მინისმაგვარი მდგომარეობიდან გადასვლის ინტერვალა 125-დან 230°C-მდე. ტესტირებული მასალების ბეტა გადასვლის (T) ინტერვალა -33°C-დან -43°C-მდე. ბიოაქტიური კომპონენტებით მოდიფიცირებული ჰიბრიდების დაბალტემპერატურული ამორფული ფაზის სტაბილურობა სუფთა პოლიმერულ მატრიცებთან შედარებით იზრდება.

თერმოგრაფიმეტრული ანალიზი ჩატარებულ იქნა თერმოგრაფიმეტრზე „პერკინ ელმერ თგა7“ (Perkin Elmer TGA7) 30-700°C ტემპერატურულ ინტერვალში გაცხელების სიჩქარით 10°C/წუთი. ყველა ჰიბრიდის თერმომდგრადობის შესწავლამ აჩვენა, რომ მათ თერმოდესტრუქციას ადგილი აქვს ტემპერატურულ ინტერვალში 420-440°C, მასის კლება - 18-37%. პოლიორგანოსილოქსანების მასური წილის გაზრდით თერმომდგრადობა გადინაცვლებს მაღალი ტემპერატურებისკენ და უმჯობესდება ბიოაქტიური კომპონენტების დამატებით. მასალების ტრიბოლოგიური მახასიათებლები დაკავშირებულია ცვეთა-მედეგობასთან, ხახუნთან, კაწვრადობისადმი მდგრადობასა და შეფარდებით მოძრაობაში მყოფი ინტერაქტიური ზედაპირების დიზაინთან. ტრიბოლოგიური ტესტები თითოეული მასალისთვის განხორციელებულ იქნა მიკროკაწვრადობის ხელსაწყოზე (MST) [CSEM, Neufchatel, Switzerland]; დინამიური ფრიქცია გაზომილ იქნა ტრიბომეტრზე tribometer [Micro Photonics Inc.].

მოდიფიკაცია უმთავრესად იწვევს, სუფთა პოლიმერებთან შედარებით, წანაცვლებითი ცვეთის შემცირებას, აუმჯობესებს ბლანტდრეკად აღდგენას (75-90%), ამცირებს დინამიურ ხახუნს, ასევე ზრდის ჰიდროფობურობას. დატვირთვის წრფივი ზრდისას (1.0N-30.0N) განხორციელებული პროგრესული კაწვრადობის ტესტირებისას ნაჩვენებია, რომ საკვლევი მასალების კაწვრისადმი წინააღმდეგობა არ უმჯობესდება მოდიფიკატორების ტიპსა და რაოდენობაზე დამოკიდებულებით. ზედაპირების მორფოლოგიის შესწავლამ [მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი (SEM), Nikon Eclipse ME 600] 70°C-ზე დაბერებისას აჩვენა კაწვრისადმი მდგრადობის, ცვეთამედეგობის და დინამიური ხახუნის კოეფიციენტის გაუმჯობესება. ამრიგად, გაუმჯობესებული ტრიბოლოგიური და თერმოფიზიკური თვისებების მქონე არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდების შექმნა გვთავაზობს მასალის კომპონენტების და ზედაპირების ფუნქციური საიმედოობის და მუშაობის ხანგრძლიობის გაზრდის გამორჩეულ შესაძლებლობებს მათი ხანგრძლივი ექსპლუატაციისას და უზრუნველყოფს მათ მოკლევადიან და გრძელვადიან ანტიმიკრობულ დაცვას.

3. ნ. ლევიშვილი, რუს. გიგაური, ხ. ბარბაქაძე, დ. ნიკოლაიშვილი, ვ. ტრაპაიძე.

საქართველოს მეორადი რესურსები ანტიმიკრობული ნაერთებისა და კომპოზიტების შესაქმნელად.

საერთაშორისო სიმპოზიუმი „ბიოაქტიური ნაერთები, ანტიმიკრობული და ბიოსამედიცინო მასალები ადამიანის და გარემოს დასაცავად.“ მაისი, 4-5, 2018, თბილისი, საქართველო. თეზისების წიგნი, გვ. 77. ISBN: 978-9941-13-699-3 (პდფ). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (ელექტრონული ვერსია).

კავკასიის სამხრეთი რეგიონი (საქართველო) მდიდარია მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებით, როგორცაა ბარიტი, ცეოლითები, ბაზალტი, ნავთობი, მანგანუმი, სპილენძი, ვერცხლისწყალი, დარიშხანი, ოქრო, სამედიცინო მინერალური წყლები და წყალბადის სულფიდის რეზერვები შავ ზღვაში. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია დარიშხანს.

დარიშხანის საწარმოები განლაგებულია კავკასიის უზარმაზარი მთათა სისტემის სამხრეთ ფერდობებზე. მათი ფორმირება დაკავშირებულია ნეოგენ-მაგმატურ პროცესთან. დარიშხანის ნარჩენები,

ძირითადად, წარმოდგენილია რაჭასა (ლუხუმი) და ქვემო სვანეთში (საქართველო). საბადოთა ნარჩენების დამუშავება წარმოადგენს 38.9 ათას ტონას. აგრეთვე, პერსპექტიულად მიიჩნევა ასევე საკაურასა და კოდისძირის (საქართველო) დარიშხანის ნარჩენები.

რაჭის (საქართველო) რეალგარ (As_4S_4)-აურიპიგმენტის(As_4S_6) მადნეული უნიკალურია მთელ მსოფლიოში. დომინანტის შემცველობა აღნიშნულ მადნეულში განსაკუთრებით მაღალია და აღწევს საშუალოდ 12%-ს. ამის გარდა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მადნეული არ შეიცავს მინარევიან ელემენტებს, და არა მარტო ძალზე სუფთა დარიშხანისა და დარიშხანის (III) ოქსიდის, არამედ ასევე გარდაქმნის სხვა პროდუქტების გამოყოფის საუკეთესო საშუალებას იძლევა. დარიშხანისა და ზოგიერთი მისი ნაერთის რაჭის რეალგარ-აურიპიგმენტის მადნეულიდან გამოსაყოფად, პირველ რიგში, კონცენტრატს წვავენ სპეციალურ ღუმელში, რომელიც არ გამოირჩევა გოგირდის დიოქსიდისა და დარიშხანის ნაერთებით გარემოს დაბინძურებას - აეროზოლის 2-3% თეთრ დარიშხანზე მოდის.

დარიშხანი აგრეთვე თითქმის ყველა ფერადი და ძვირფასი მეტალების ბუნებრივი თანამდე ელემენტია. აღნიშნული ელემენტების პირომეტალურგიული დამუშავების შემდეგ, რომელიც მათი ინდივიდუალურ მდგომარეობაში აღდგენის ერთ-ერთი შეუცვლელი პირობაა, იგი გამოდის ტექნოლოგიური სქემიდან თეთრი დარიშხანის სახით და წარმოადგენს სამრეწველო ნარჩენებს. ხშირად მათში დარიშხანის შემცველობა მერყეობს 8-60%-ის ფარგლებში. ამასთანავე, ისინი შეიცავენ კომერციულად მნიშვნელოვანი რაოდენობის ძვირფას მეტალებს. გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ნარჩენები იმარხება სპეციალურ სამარხებში, რაც დაკავშირებულია უდიდეს მატერიალურ და ფინანსურ დანახარჯებთან.

ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა საქართველოს მნიშვნელოვანი რეზერვები მეორადი რესურსებიდან (დარიშხან-პირიტი და რეალგარ-აურიპიგმენტი) დარიშხანის სხვადასხვა ფორმით გამოსაყოფისა და მათ ბაზაზე შედარებით იაფი და მნიშვნელოვანი ანტიმიკრობული ნაერთების და სპეციფიკური თვისებების არაორგანულ-ორგანული ანტიმიკრობული მულტიფუნქციური მასალების წარმოების მიზნით. შემუშავებულ იქნა მათი მიღების ლაბორატორიული ტექნოლოგიები.

აღნიშნული მიღწევები ზოგავენ არა მარტო დამატებით ტექნიკურ-ეკონომიკურ რეზერვებს ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნისთვის, არამედ ხელს უწყობს ასევე რიგი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას.

ლიტერატურა:

1. Menard K.P. Performance of Plastics, Ch.6 (Ed. Brostow W.), Hanser, Munich – Cincinnati, 2000.
2. L.H. Sperling, Introduction to physical polymer science, John Wiley&Sons Inc., New Jersey, 2006.

4. ბ. ბარბაქაძე, გ. ლეკიშვილი, ბ. არზიანი, ნ. ლეკიშვილი, ნატალი ჰნატჩუკი, ვიტოლდ ბროსტოუ.

ნანოკომპოზიტების ბაზაზე ანტიმიკრობული საფრების ტრიბოლოგიური და საექსპლუატაციო თვისებები და თერმოდგრადობა.

საერთაშორისო მინი-სიმპოზიუმი „ბიოაქტიური ნაერთები, ანტიმიკრობული და ბიოსამედიცინო მასალები ადამიანის და გარემოს დასაცავად.“ მათისი, 4-5, 2018, თბილისი, საქართველო. თეზისების წიგნი, გვ. 34.

ISBN: 978-9941-13-699-3 (კდგ). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა („ონლაინ“; www.tsu.press ან კონფერენციის ვებ გვერდი: ims.tsu.ge).

შექმნილი და შესწავლილია სპეციფიკური თვისებების მქონე ანტიმიკრობული კომპოზიტები და მასალები პოლიურეთანის და ბიოგენური ნაწი-ზომის მეტალების და მეტალთა ოქსიდების (Ag, ZnO) ბაზაზე.

შესწავლილია მიღებული კომპოზიტების და მასალების თერმო-ფიზიკური მახასიათებლები, საბაზისო ტრიბოლოგიური თვისებები (კაწვრისადმი მდგრადობა, დინამიური ხახუნი) და ზედაპირის თვისებები. დადგენილია, რომ სილიციუმორგანული მოდიფიკატორების და ბიოაქტიური კომპონენტების შეყვანა პოლიურეთანულ მატრიცაში აუმჯობესებს საჭირო მიმართულებით შესაბამისი მასალების თერმულ, ტრიბოლოგიურ და საექსპლუატაციო (იზოთერმული დაბერება, წყლის შთანთქმა) თვისებებს.

ჩატარებულია თერმოგრავიმეტრიული შესწავლა (თვა მეთოდი) სუფთა და მოდიფიცირებული

ჰიბრიდული კომპოზიტების თერმომდგრადობის და დესტრუქციული ქცევის შესაფასებლად.

განსაზღვრულია თერმომდგრადობის პარამეტრები, სახელდობრ, დაშლის საწყისი ტემპერატურა (დსტ), დესტრუქციის ტემპერატურა ($T_{დსტ}$) შესაბამისი მასის დანაკარგით (მას.%) და დაშლის მაქსიმალური სიჩქარის ტემპერატურა ($T_{აქს}$). ამრიგად, სილიციუმ-ორგანული და არაორგანული ბიოაქტიური მოდიფიკატორები გამოდიან პოლიურეთანულ მატრიცაში წყლის გადაადგილებისადმი ბარიერის როლში და შესაბამისად, ზრდიან წყლის შთანთქმის მიმართ მდგრადობას.

მოდიფიცირებულ ჰიბრიდულ კომპოზიტებს არამოდიფიცირებულ პუ-თან შედარებით აქვთ უკეთესი წყალშთანთქმისადმი მდგრადობა. როგორც განხორციელებულმა ტესტებმა აჩვენა მოდიფიკაციით იზრდება ჰიდროფობურობა და შთანთქმული წყლის რაოდენობა W_{H_2O} ყველა შემთხვევისთვის 720 საათის განმავლობაში არ აღემატება 0.03 %-ს.

შემუშავებული ანტიმიკრობული ჰიბრიდული მასალები ხასიათდებიან სხვადასხვა ნიმუშებსა და ნაკეთობებზე კარგი ფიქსაციით, კარგი სიმტკიცით, ელასტიურობით და არ იცვლიან ფერს ფოტო და იზოთერმული დაბერებისას და აქვთ მთელი რიგი გამოყენება.

5. მარიამ კობიაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე, ნოდარ ლეკიშვილი.

მოდიფიკაციის გავლენა ანტიმიკრობული კომპოზიტების თერმულ და მექანიკურ ქცევაზე.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციის „ქიმია დღეს და მომავალში“

16-17 ნოემბერი, 2018, თბილისი, საქართველო. თეზისების კრებული, გვ. 33.

ISBN: 978-9941-13-772-3 (პდფ). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა („ონლაინ“; www.tsu.press

ან კონფერენციის ვებ გვერდი: ims.tsu.ge).

ჰიბრიდული შემკრავი სისტემები დღეისათვის დიდ ყურადღებას იპყრობს მაღალწარმოებადი ან პოლიფუნქციური პოლიმერული კომპოზიციური მასალების შესაქმნელად. შეთავაზებული პოლიმერების არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდების უნივერსალურობა აუმჯობესებს კომპოზიტების საფრების, წებოების, საღებავების, სამედიცინო და სტომატოლოგიური პროდუქციის ხანგამძლეობას, მექანიკურ, თერმულ, ქიმიურ და სითბოგამძლეობას, შუქამინდის მიმართ მდგრადობას, სიპრიალის, ფერის შენარჩუნების უნარს და ადჰეზიას და ა.შ.

საფრების, როგორც მიკრობიოლოგიური კოროზიისგან დაცვის მეთოდის გამოყენება, ფოკუსირდება პოლიმერული მატრიცების (სილიკონები, პოლიურეთანები, ეპოქსიდური ფისები, და ფთორირებული კომპაუნდები და სხვ.) ბაზაზე არატოქსიკური პროდუქტების, პოლიმერული ქსელების, სამკურნალო აგენტების, ბიოაქტიური დანამატების (არაორგანული, ორგანული და მეტალორგანული ნაერთები, ბიომოლეკულები, კლასტერები და ა.შ.) გამოყენებაზე.

ჩატარებულია პოლიფუნქციური ჰეტეროჯაჭვური პოლიმერების (პოლიურეთანული - პუ) ბაზაზე მოდიფიცირებული და რეგულირებადი პოლიმერული კომპოზიტების და ჰიბრიდული მასალების თერმოფიზიკური კვლევა.

დიფერენციული მასკანირებელი კალორიმეტრია (დსკ) ავლენს სითბურ ეფექტებს, რომლებიც ასოცირდება ფაზურ გადასვლებთან და ქიმიურ რეაქციებთან, ტემპერატურის ფუნქციასთან, რაც გამოყენებულ იქნა საკვლევი მასალების მნიშვნელოვანი თვისებების, როგორებიცაა კრისტალურობა, სითბური გადასვლები, ლობის ტემპერატურები, დასახასიათებლად. ტესტირება შესრულებულ იქნა ხელსაწყოზე DSC 200 (ნეჩი, გერმანია) აზოტის ატმოსფეროში $5^{\circ}\text{C}/\text{წთ}$ სიჩქარით, -100°C -დან $+300^{\circ}\text{C}$ -მდე ინტერვალში. ენდოთერმული პიკები $+38.8^{\circ}\text{C}$ -დან $+59.7^{\circ}\text{C}$ -მდე დსკ მრუდებზე შეესაბამება საკვლევი ნიმუშების გამინების ტემპერატურას (T_g). საბაზო პოლიმერში ნანო-ATO-ს დოპირება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს T_g -ზე. მინისმაგვარი მდგომარეობიდან ფაზური გადასვლის ტემპერატურა მგრძნობიარეა სილოქსანური მოდიფიკატორების მიმართ. კერძოდ, მათი ჩანერგვა კომპოზიტებში T_g მცირდება $58.7-56^{\circ}\text{C}$ -დან $38.8-44.3^{\circ}\text{C}$ -მდე. ამრიგად, 3 wt.% ATO-ს დამატება პოლიურეთანზე -გადასვლის ტემპერატურის დაწვეა ცენტრირდება, შესაბამისად, -43.6°C -დან -37°C -მდე ინტერვალის ირგვლივ. ბკ-ების დამატება აძლიერებს დაბალტემპერატურული ამორფული ფაზის სტაბილობას.

თერმული მდგრადობა და დესტრუქციული ქცევა განსაზღვრულ იქნა ხელსაწყოზე „Perkin Elmer TGA-7“-ზე 50°C - 800°C ინტერვალში $20^{\circ}\text{C}/\text{წთ}$ გაცხელების სიჩქარით. თერმული შესწავლის ყველა შედეგმა აჩვენა მოდიფიკატორების და ბიოაქტიური დანამატების დიდი გავლენა საბაზო მატრიცების თერმომდგრადობაზე.

მოდულიზირებული მასალები ავლენს დესტრუქციის ტემპერატურას, უფრო მაღალს ვიდრე არამოდულიზირებული მასალები.

სუფთა პოლიურეთანული მატრიცის ინტენსიური დესტრუქციის პროცესს ადგილი აქვს 290-460°C-ზე მასის დიდი დანაკარგით 81.3%-მდე. დესტრუქციის მეორე ეტაპი იწყება 460-570°C ტემპერატურაზე მასის ძლიერი დანაკარგით. მოდიფიცირებული პუ-კომპოზიტების თერმომდგრადობა უმჯობესდება, -ორივე, $T_{საწ.დეს.}$ და $T_{მაქს.დეს.}$ გადინაცვლებს მაღალი ტემპერატურისკენ.

შესრულებული კვლევებით ნაჩვენები იქნა არამოდულიზირებულ ფირებთან შედარებით თერმომდგრადობის და T_g გაუმჯობესება მექანიკურად და ფოტოქიმიურად მდგრადი კომპოზიტების მაღალ ტემპერატურაზე გამოსაყენებლად.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
2			
3			

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სხვა აქტივობები:

I. ინსტიტუტის თანამშრომლების ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მომზადდა და ჩატარდა სამი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი:

1. **საერთაშორისო მინი-სიმპოზიუმი** „ბიოაქტიური ნაერთები, ანტიმიკრობული და ბიოსამედიცინო მასალები ადამიანის და გარემოს დასაცავად.“ მაისი, 4-5, 2018, თბილისი, საქართველო. ვებ გვერდის ლინკი: ims.tsu.ge (ნოდარ ლეკიშვილი - საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ხათუნა ბარბაქაძე - საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ლილი არაბული - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი).

2. **პოლიქარ26. მსოფლიო ფორუმი ავანგარდულ მასალებზე** (World Forum on Advanced Materials). 13-15, სექტემბერი, თბილისი, საქართველო. ვებ გვერდის ლინკი: Polychar26.tsu.ge (ნოდარ ლეკიშვილი - ხათუნა ბარბაქაძე, მარინა გახუტიშვილი - საორგანიზაციო კომიტეტის წევრები).

3. **სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციის „ქიმია დღეს და მომავალში“** 16-17 ნოემბერი, 2018, თბილისი, საქართველო. ვებ გვერდის ლინკი: icsys-2018.tsu.ge (ნოდარ ლეკიშვილი - საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ხათუნა ბარბაქაძე - საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, მაია თათარიშვილი - სამდივნოს ხელმძღვანელი, ლილი არაბული - სამეცნიერო და საპროგრამო კომიტეტის წევრი).

პროექტის ხელმძღვანელის თანარედაქტორობით (პასუხისმგებელი მდივანი - ხათუნა ბარბაქაძე) მომზადდა და გამოიცა („ონლაინ“) ორი საერთაშორისო ფორუმის კრებული (Book of Abstracts):

	რედაქტორები	სამეცნიერო ფორუმი		
--	-------------	-------------------	--	--

1	ნოდარ ლეკიშვილი იოსებ ჩიკვაძე	International Mini-Symposium "Bioactive compounds, antimicrobial and biomedical products & materials for protection of human and environment".) May 4-5, 2018, Tbilisi, Georgia. Book of Abstracts (თეზისების კრებული)	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა www.tbilisi university press ფორუმის ვებ გვერდის ლინკი: ims.tsu.ge	95
1 \ 2	ნოდარ ლეკიშვილი იოსებ ჩიკვაძე	International Conference "Chemistry today and Future" 16-17 November, 2018, Tbilisi, Georgia. Book of Abstracts (თეზისების კრებული)	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა www.tbilisi university press ფორუმის ვებ გვერდის ლინკი: icsys-2018.tsu.ge	63

II. მომზადებულია ლექციების კურსის ელექტრონული ვერსია სასწავლო კურსში (მაგისტრატურა) „მეტალორგანული ნაერთების ტექნოლოგია“ (შინაარსი იხ. ქვემოთ)(ინახება თსუ, მეორე კორპუსი, არაორგანულ-ორგანული არატრადიციული ჰიბრიდული მასალების ს/კ ინსტიტუტში, ოთ. 351).

ნოდარ ლეკიშვილი

მეტალორგანული ნაერთების წარმოების ტექნოლოგია

(ლექციების კურსი)

სამაგისტრო პროგრამა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

შინაარსი

პირველი ნაწილი. სილიციუმორგანული მონომერების წარმოების ტექნოლოგია

I. ორგანოქლორსილანების მიღება

I.1. ორგანოქლორსილანების პირდაპირი სინთეზის მეთოდი _ ქლორირებული ნახშირწყალბადების თავისუფალ (მეტალურ) სილიციუმთან ურთიერთქმედება

I.1.1. მეთილ, ეთილ და ფენილქლორსილანების მიღება

II. მეტალორგანული ნაერთების გამოყენებაზე დაფუძნებული მეთოდები

II.1. მაგნიუმორგანული ნაერთების (გრინიარის რეაქტივის) მიღება

II.2. მეთილფენილდიქლორსილანის მიღება

III. ჰიდრიდქლორსილანებში წყალბადის ატომების ალკილური, ალკენილური და არილური რადიკალების ჩანაცვლებაზე დაფუძნებული მეთოდები

III.1. ჰიდრიდქლორსილანების ოლეფინებისა და არომატული ნახშირწყალბადების ქლორნაწარმებთან მაღალტემპერატურული კონდენსაციის

მეთოდი

- IV. ქლორირებული ორგანოქლორსილანების მიღება
 - IV.1. ქლორირებული მეთილქლორსილანების მიღება
 - IV.2. მეთილ(ქლორმეთილ)დიქლორსილანის მიღება
 - IV.3. ქლორირებული ფენილქლორსილანების მიღება
 - IV.4. ქლორფენილტრიქლორსილანის მიღება
 - IV.5. მეთილთიენილდიქლორსილანის მიღება
 - IV.6. ფენილტრიქლორსილანის მიღება
 - IV.7. მეთილფენილდიქლორსილანის მიღება
- V. ორგანოეთოქსისილანების მიღება
 - V.1. ტეტრაეთოქსისილანის და ეთილსილიკატის მიღება
 - V.2. ტრიეთოქსისილანის მიღება
 - V.3. ალკილ(არილ)ალკოქსისილანების მიღება
 - V.4. მეთილფენილდიმეთოქსისილანის მიღება
 - V.5. ორთოსილიციუმმჟავას არომატული ეთერები. ტეტრაფეთოქსისილანის წარმოების ძირითადი პრინციპები.
- VI. აცილოქსიორგანოსილანების მიღება
 - VI.1. ტრიაცეტოქსიმეთილსილანის მიღება
- VII. ორგანოციკლოსილაზანების და პოლიორგანო სილაზანური ლაქების მიღება
 - VII.1. ჰექსამეთილციკლოტრისილაზანების და ოქტამეთილციკლოტეტრა- სილაზანების მიღება
 - VII.2. პოლიმეთილ(ფენილ)სილაზანური ლაქების მიღება
- მეორე ნაწილი. სხვა მეტალების (ელემენტების) მეტალ(ელემენტ)ორგანული ნაერთების მიღება და წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პრინციპები**
- VIII. ბორ- და ალუმინორგანული ნაერთების მიღება.
 - VIII.1. ბორორგანული ნაერთების (ტრიმეთილბორატის) მიღება
 - VIII.2. ტრიეთილალუმინის წარმოება
- IX. კალა- და ტიტანორგანული ნაერთების მიღება
 - IX.1. ტეტრაბუტოქსიტიტანის მიღება
 - IX.2. პოლიბუტოქსიტიტანოქსანის მიღება
 - IX.3. დიეთილკალას დიკაპრილატის მიღება
- X. დარიშხანორგანული ნაერთების (ტრიალკოქსი)არსენიკუმის მიღება
- XI. ფეროცენის და აცეტილფეროცენის მიღება
- XII. მაკროჯაჭვში მეტალშემცველი პოლიორგანოსილოქსანების და თერმოდგრადი ლაქების და საიზოლაციო მასალების მიღება